

140 / 3
1952

မြန်မာ့စာပေ
အကယ်ဒမီ

Handwritten signature or initials in blue ink.

Handwritten signature or initials in blue ink.

ဒေါ်စန္ဒာ

1
1952





ქ ი თ ნ ე რ ი

საბავშვო ალკა ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 1 იანვარი 1952

საბლიტგამი
ფელიწადი XXVI

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии

მრავალ ახალ წელს

თოვს,—ცანგალებო, გახედეთ ზეცას,
თოვს საახალწლოდ ვინ არა ნატრობს!
რამდენი ფიფქიც მიწას დაეცა,—
იმდენი ტკბილი ღღე შეგემატო!


თოვს,—საახალწლო თოვლი კარგია,
ქარი გუგუნით ფიფქებს აყრის ხევს...
თქვენ კი სიცილით დილაადრიან
გარს უვლით თეთრად მორთულ ნაძვის ხეს.

ნახეთ, ბაბუაც თქვენ შორის ცეკვავს,
ნუ გიკვირთ მისი წვერის სითეთრე...
რამდენი ფიფქიც მოწყდება ზეცას,—
იმდენი ტკბილი ღღე გაგიოენდეთ.

იმდენ ახალ წელს შეგასწროთ ბედმა,
რამდენი ფიფქიც ფარფატებს ირგვლივ...
გიყვარდეთ თქვენი სამშობლო, დედა
და მშობლიური ენა და წიგნი.

შალვა შორაჩიძე





ვლადიმერ ილიას ძე ლენინი

★

კომუნისცი მსოლდ
მასინ შიბლუბა გასდუ,
როცა შენს მესიერუმას
გამდიდრუბ ყულა იმ
სიმდიდრის ცოდნით, რაც
კაცთმრითბას შეჟუშეაჟ-
ბია.

ლ ე ნ ი ნ ი

★

ლენინი მეცნიერების დაუფლების შესახებ

ახალგაზრდობას ჩვენმა საყვარელმა მასწავლებელმა და მეგობარმა ვ. ლენინმა ერთ-ერთ ყველაზე ძირითად ამოცანად ცოდნის, მეცნიერების დაუფლება დაუსახა.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე ლენინმა ღრმად და ამომწურავად განსაზღვრა, თუ რა უნდა ისწავლოს და როგორ უნდა ისწავლოს საერთოდ ახალგაზრდობამ, კერძოდ კომუნისტურმა ახალგაზრდობამ.

ახალგაზრდობამ, რომელსაც სურს კომუნისტი გადამდეს, უნდა ისწავლოს კომუნისტი, — ამბობდა ლენინი.

მაგრამ როგორ ესმოდა ვლადიმერ ილიას ძეს კომუნისტი სწავლა, რას გულისხმობდა იგი კომუნისტი სწავლაში?

ერთი შეხედვით ბუნებრივად გვეჩვენება, თითქოს კომუნისტი სწავლა ცოდნათა იმ ჯამის შეთვისებას უნდა ნიშნავდეს, რაც კომუნისტურ სახელმძღვანელოებში, შრომებსა და ბროშურებშია გადმოცემული.

ლენინი კომუნისტი ასეთ შესწავლას მწიგნობრულ შესწავლას უწოდებდა და არასაკმარისად თვლიდა.

რატომ თვლიდა ლენინი კომუნისტი ასეთ მწიგნობრულ შესწავლას არასაკმარისად?



ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იმ ახალგაზრდებისაგან, რომელნიც მხოლოდ მწიგნობრულად შეისწავლიდნენ კომუნისტის, ადვილად დაღვებოდნენ კომუნისტი მწიგნობრები ან მკვეხარები. ეს ახალგაზრდები მოკლებულნი იქნებოდნენ მიღებული ცოდნის საქმესთან შეერთებას უნარს და ვერ იმოქმედებდნენ ისე, როგორც ამას კომუნისტი მოითხოვს მათგან.

შემდეგ, იმიტომაც, რომ ასეთი მწიგნობრული ცოდნა იქნებოდა ზერელე, დაზებირებული, არამტკიცე, ახალგაზრდობის მიერ არა ღრმად და ყოველმხრივ გააზრებული, არა ორგანულად შეთვისებული.

მაშ, რას გულისხმობდა ლენინი კომუნისტის შესწავლაში? კომუნისტის შესწავლაში ვლადიმერ ილიას ძე ლენინი გულისხმობდა კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნათა ჯამის შეთვისებას, რადგანაც ლენინს კომუნისტი მიაჩნდა კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის შედეგად.

კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის დაუფლებას ლენინი კომუნისტად გახდომის ერთ-ერთ ყველაზე ძირითად პირობად თვლიდა: „კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუძლებია“ შთაავთნებდა ახალგაზრდობას ლენინი.

კომუნისტი, — მიუთითებს ლენინი, —

არ უნდა კმაყოფილებოდეს ცოდნის დაბალი დონით, იგი ყოველდღე, სისტემატურად უნდა იმაღლებდეს ცოდნის დონეს. იგი ამბობდა „თუ მე ვიცი, რომ ცოტა ვიცი, მაშინ მივალწვევ იმას, რომ მეტი ვიცოდე...“

ვლადიმერ ილიას ძე მოითხოვდა კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის არა უბრალოდ, არამედ კრიტიკულად დაძლევისა და შეთვისებას, ისე, როგორც ეს თავის დროზე მოიმოქმედეს კომუნისტის ფუძემდებლებმა მარქსმა და ენგელსმა.

ლენინი წერდა: „თქვენ არა მარტო უნდა შეითვისოთ ის (ლაპარაკობდა კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნაზე. ა. ბ.), არამედ ისე უნდა შეითვისოთ, რომ კრიტიკულად მიუღვეთ მას, რომ კი არ დატვირთოთ თქვენი ფონება იმ ხარასხურით, რომელიც საჭირო არაა, არამედ გაამდიდროთ ის ყველა იმ ფაქტის ცოდნით, ურომლისოდაც შეუძლებელია იყოს თანამედროვე განათლებული ადამიანი“.

ამასთან ერთად, ლენინს აუცილებლად მიაჩნდა ახალგაზრდობას გამოემუშავებინა ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

მაშასადამე, ვლადიმერ ილიას ძე ურჩევდა ახალგაზრდობას ესწავლა კომუნისტი არა მხოლოდ კომუნისტური ლოზუნგებისა და დასკვნების ზერელე გაზეპირებით, ძნელი და დიდი შრომის ჩაუტარებლად, არამედ ბევრითი შრომით და სწავლით, კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნათა ჯამის კრიტიკულად შესწავლისა და ათვისების გზით. აი რის სწავლას ურჩევდა ახალგაზრდობას ლენინი, აი რას გულისხმობდა იგი კომუნისტის სწავლაში.

მაგრამ ლენინმა ახალგაზრდობას იმაზეც მიუთითა, თუ როგორ უნდა ესწავლა მას კომუნისტი, ე. ი. როგორ გადაეჭვია კომუნისტი კომუნისტური ცოდნიდან კომუნისტურ საქმედ, თავისი პრაქტიკული მოღვაწეობის სახელმძღვანელოდ.

აქ პირველ რიგში ლენინი მიუთითებს ახალგაზრდობის კომუნისტური მორალის სულისკვეთებით აღზრდაზე. მხოლოდ კომუნისტური მორალის გამსჭვალულ ახალგაზრდობას შეუძლია კომუნისტი აქციოს პრაქტიკულ საქმედ, სინამდვილედ. ახალგაზრდობის კომუნისტური მორალის სულისკვეთებით აღზრდას კი შესაძლებელია მხოლოდ ახალგაზრდობის სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობით, ვინაიდან „კომუნისტურ ზნეობას საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნისტის

ანდერძს ვუსრულებ ლენინს

მე როცა ძია ლენინს ნათელ ოცნებით ვხატავ, მუყაითხა და ბეჯიის მხოლოდ ერთი მაქვს ნატვრა;

ვისწავლო ისე კარგად, როგორც გვირჩევდა იგი, და შინ თუ გარეთ, მუდამ მეგობრად მყავდეს წიგნი.

სწავლა, სწავლა და სწავლა, მან გვიანდერძა ყველას და მეც ხუთებზე სწავლით ანდერძს ვუსრულებ ბეჯად.

გვაკვლავს ყველა ჩვენგანს — მუდამ ვბაძავ ეთ ლენინს სტალინი — ხალხთა მამა — დიდი ბელადი ბრძენი.

მასთან მაღლობს გრძნობებს კრემლში თეთრ მტრელებს ვატან. მის გვერდით უკვდავ ლენინს ვხედავ, ოცნებით ვხატავ.

გიორგი ლეჟავა

განმტკიცებისა და დამთავრებისათვის“.
(ლენინი).


ახალგაზრდობის ბრძოლა კომუნისმისათვის იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ახალგაზრდობა იწყებს იმის შეგნებას, რომ საერთო, საზოგადო საქმე ამავე დროს მისი პირადი საქმეც არის, სწორედ აქედანვე იწყება კომუნისტური მორალის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდაც. „ახალგაზრდობის კავშირის წევრად ყოფნა ნიშნავს საქმე ისე წარმართო, — ამბობს ვლადიმერ ილიას ძე, — რომ შენი შრომა, შენი ძალღონე საზოგადო საქმეს მოახმარო. აი ამაში მდგომარეობს კომუნისტური აღზრდა. მხოლოდ ამნაირი მუშაობით იქცევა ნამდვილ კომუნისტად ახალგაზრდა ვაჟი თუ ქალი, მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებიან ისინი კომუნისტებად, თუ ამ მუშაობით შესძლებენ პრაქტიკულ წარმატებათა მიღწევას“.

მაშასადამე, ლენინი ურჩევდა ახალგაზრდობას ესწავლა კომუნისმი არა მხოლოდ სკოლის კედლებში, კარჩაკეტილად, არა მხოლოდ თეორიულად, არამედ მუშებთან და გლეხებთან ერთად კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობით, ექსპლოატაციისა და კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ შეუპოვარი და თავდადებული ბრძოლით.

აქვე უნდა აღინიშნოს, თუ რა დიდი როლს ანიჭებდა ლენინი ახალგაზრდობის მიერ მეცნიერების დაუფლების საქმეში წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას. სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტში „სახელმწიფოს შესახებ“ წაკითხული ლექციის შესავალში მან თავისი მსმენელების ყურადღება სპეციალურად შეაჩერა ამ საკითხზე.

იგი თავის ახალგაზრდა მსმენელებს ურჩევდა: 1) თუ წიგნის პირველად წაკითხვისას საკითხი გაუგებარი რჩება, ამ გარემოებას ისინი არ შეუშინდნენ, რადგან ხელმეორედ წაკითხვისას ის გასაგები შეიქნება. 2) გასარკვევი და შესასწავლი საკითხი მრავალმხრივ მოისაზრონ. 3) გაუგებარ დ ბუნდოვან ადგილებს დაუბრუნდნენ მეორედ, მესამედ და მეოთხედაც კი.

თითოეულ ახალგაზრდას უნდა ახსოვდეს ლენინის ეს რჩევა და მით ხელმძღვანელობდეს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობისას, რად-



ვ. ი. ლენინი „ისკრის“ პერიოდში. ბიუსტი შესრულებულია სახალხო მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის მიერ.

გან ლენინის ამ მეთოდურ მითითებებში იშვიათი ოსტატობითა და სიღრმით განზოგადებულია წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მდიდარი გამოცდილება.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ ახალგაზრდობის წინაშე დასახული ამოცანები, პირველ რიგში კი მეცნიერების დაუფლების ამოცანა, ახალგაზრდობისთვის ლენინურ ანდერძად იქცა. ბოლშევიკურმა პარტიამ და სოციალისტურმა სახელმწიფომ საბჭოთა ახალგაზრდობას ფართოდ გაუღეს საშუალო და უმაღლესი სკოლის კარები. თუ მეფის რუსეთში ახალგაზრდა მეცნიერები თითზე ჩამოითვლებოდნენ, ამჟამად საბჭოთა კავშირის მეცნიერთა რიგებში ათასობით ახალგაზრდა მოწინავე მეცნიერი ითვლება.

საბჭოთა ახალგაზრდობა პირნათლად ასრულებს ლენინის ანდერძს, — იგი შეუპოვარი შრომითა და სწავლით ეუფლება მოწინავე მეცნიერების მწვერვალს.

ალ. გილანიშვილი






მოვიდა წელი ახალი,
 დიადი, გასაკვირველი.
 ზის გივი, კარებს ნეტავი
 ვინ შემოუღებს პირველი?!
 ისმის ფეხის ხმა, კაკუნი.
 — ვინა ხარ?
 — შენი ძმობილი,
 სამიანი ვარ, მსურს შენთან
 ვიარო ფეხშეწყობილი.—
 ბევრი ეხვეწა, და გივიმ
 მაინც არ გახსნა კარები.
 კვლავ ვილაც მოდგა,
 — ვინა ხარ?
 ჩემთან რას მოეძალები?
 —ოთხიანი ვარ, მიცანი?!
 ხალისით მოვეჩქარები.
 მკერდზე სხივები მაყრია,
 გამბრწყინებია თვალები.—
 გივიმ არც ამას გაულო
 კარები გადაკეტული,

და ოთხიანიც გაბრუნდა
 ნაწყენი, გულდაწყვეტილი.
 უცებ გაისმა საამო
 ლულუნი, ფრთების ტლაშუნი,
 კვლავ ვილაც მეკვლე მობრძანდა
 მტრედების ფრთებზე დასმული.
 — ვინა ხარ?
 — ხუთიანი ვარ,
 შენი ძვირფასი ძმობილი.
 — მობრძანდი.— გივიმ გასძახა,—
 ხარ სიბეჯითის შობილი,
 მობრძანდი, ერთად ვიაროთ,
 ხელიხელ გადაქდობილი.

პისკანო გორგანელი
 მხატვარი ა. კანდელაკი





როდონე ქორკია

მხატვარი **ო. სულაგა**



— აი, აქ მოვა იორი, ჩავა ამ ტაფობში და ზღვას გააჩენს,—უთხრა მამამ გივის. — ხედავ, რამდენი ხალხია მოსული იერის შესახვედრად?

გივიმ მიმოიხედა. მართლაც, მახათის მთის ფერდობები, ნავთლუღის გადასახედი, ჩრდილო ზეგანი და მლაშე ტბის მიდამო ხალხით იყო გაჭედილი. ისმოდა ზღვა ხალხის გუგუნი, სიმღერა. ერთგან, ფართო მოედანზე, დიდი წრე შეეკრათ და დოღი გაემართათ. მაღალი ანძიდან რადიო ლაპარაკობდა—ხალხს ულოცავდა სამგორის გაცოცხლებას.

იქ, საიდანაც იორს უნდა გადმოეჩქეფა, ორი ობელისკი იდგა. ობელისკებს შორის გადაჭიმულიყო წითელი არშია წარწერით „ღიდება დიდ სტალინს!“

ობელისკებს შუა მოჩანდა თეთრი არხი. მზე უხვად ეფრქვეოდა არხს, გორაკებს, მახათის მთას, მლაშე ტბას, ზღვა ხალხს. თითქოს მზესაც უხაროდა, რომ მოვიდოდა წყალი და მოიტანდა სიცოცხლეს.

უხაროდა გივისაც. მისი მამა სამგორის მშენებელია. ამ ზღვა ხალხის სიხარული მამამისის შრომითაცაა გამოწვეული. გივიმ ისიც იცის, თუ რამდენი შრომაა გაწეული ამ ბედნიერი დღის მოსაყვანად. მას გასულ კვირას დაათვალიერებინა მამამ სამგორის მშენებლობა. უნებლიედ მოაგონდა ხალხური ლექსი:

„აქეთ გორასა წინლსა ვკრავ, იქით გორასა ძვრას ვუზამ, ადიდებულსა იორსა დავაყენებ და ყლას ვუზამ“...

— იორს აქ ვიწრო კალაპოტი აქვს, — უთხრა მამინ მამამ, როცა გივი სოფელ პაღლოში მიიყვანა,—მთებმა შეკრეს იორი აქ. ამით ვისარგებლეთ ჩვენ და მდინარეს გადავუღობეთ გზა, ავაგეთ კაშხალი. აქედან იორი მარჯვნივ გადაუხვევს და შევა მთაში, გვირაბში. გვირაბიდან იორი სამგორის ველზე გავა. გზაში კიდევ ბევრი გვირაბი და ხევი შეხვედება. ზევებზე იორი ღიუქერებიტა და აკვეღუკებით გადავა.

გივიმ გახედა იორს. მდინარე ბზინავდა მზის სხივებზე და შხუილით აწყდებოდა კაშხალს, თითქოს ბრაზდებოდა, რომ თავისუფალსა და გალადებულს გზა შეუკრეს, თითქოს გრძნობდა, რომ მალე გვირაბში უკრავენენ თავს.

მანქანამ ტყიანი მთაგორები უკან მოიტოვა და ვაკეზე გამოვიდა. ფართო, დიდი ველი გადართალა გივის თვალწინ. ველზე თეთრი ლენტეხით იწვა დაბეტონებული ღრმა და განიერი არხი.

არხის პირას გორა-გორად ეყარა მიწა, ცემენტი, ქვა და ხრეში. მუშები ფუსფუსებდნენ მანქანებთან.

რა შესანიშნავი მანქანები ნახა გივიმ! ტრაქტორები, ექსკავატორები, სკრაპერები,

ბულდოზერები, ვულდრიხები. სამგორის ველი ტალღისებურია: ალაგ აღმართი, ალაგ დაღმართი. ტრაქტორი კი ყველგან დადის. ექსკავატორს რკინის ჩამჩა აქვს. ჩამჩას კი ფოლადის კბილები. ჩავლებს ამ კბილებს მიწას და მოთხრის. არის ისეთი ექსკავატორიც, რომელიც ჩამჩის ორი მოქნივით საბარგო ავტომობილს ტვირთავს.

საოცარი მანქანაა ბულდოზერი: თან თხრის მიწას, თან ყრის გზაზე და ასწორებს გზას, აპირკეთებს. ერთმა მანქანამ განსაკუთრებით გააკვირვა გივი. ამ მანქანის ჩამჩაში ერთდროულად 13 კუმბეტრი მიწა ეტევა. ეს მანქანა დღეში 600 კაცის სამუშაოს აკეთებს თურმე.

არსად ხე, არსად ბუჩქი და მწვანე მინდორი. ირგვლივ გადახრუებულია ყველაფერი. თვალს არ ახარებს ყვავილები და ყურს არ ატკბობს ჩიტის ჟღერტული. სად დაიბუდოს ჩიტმა, თუ ხე არაა? არც პეპელა დაფრინავს ამ გადახრუულსა და უდაბნოდ ქცეულ უყვავილო მიწაზე.

— ზაფხულში ხომ გახურებულ თონესა ჰგავს სამგორი, მაგრამ არც ზამთარშია სახარბიელო, — უამბო მამამ გივის. — ზამთარში აქ ჩრდილო-დასავლეთის სუსხიანი ქარები იცის, ისეთი სუსხიანი, რომ ძვალ-რბილში ატანს. ზაფხულობით სამგორის ველზე აქა-იქ ამოვა ბალახი, მაგრამ ტანს ვერ აიყრის უწყლობის გამო. ზამთარში მოვა თოვლი, მაგრამ ვერ ჩერდება მიწაზე. რომ დაჰბერს ქარი, ახვეტს და დაატრიალებს თოვლს, ისეთი ორომტრიალი დადგება, — ცხენიდან კაცს გაიტაცებს.

შიგადაშიგ სამგორის უზარმაზარ ველზე სოფლებია გაშენებული: პატარა ლილო, დიდი ლილო, ნორიო, საცხენისი, მარტყოფი. უწყლობა დიდად აწუხებს ამ სოფლებს.

— განა მუდამ ასე იყო გავერანებული სამგორი? — უხსნიდა მამა გივის, — იყო დრო, როცა აქ სიცოცხლე დულდა, ცხოვრება ყვაოდა, მაგრამ მტერმა მოაოხრა იგი. 1265 წელს „ოქროს“ ურდოს ყაენმა ბექამ, ირანის ყაენ აბალაზთან ბრძოლის დროს, 300.000 ჯარით დალაშქრა საქართველო, გააოხრა მტკვრის, ალაზნისა და ივრის სანაპიროები. „იმ დროიდან მოყოლებული მრავალი წნის



განმავლობაში მოსახლეობა აქ ამომწყდარი იყო, — წერია „საქართველოს ისტორიაში“.

თემურ-ლენგი ექვსჯერ შემოესია საქართველოს. ამ მტარავალმა დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. მან მოსპო და დაწვა შენობები, ბაღები, ვენახები. ჩვენმა წინაპრებმა ისევ აღადგინეს სიცოცხლე სამგორში. მაგრამ XVII საუკუნეში ისევ დატრიალდა უბედურება სამგორში: ახლა შაჰ-აბაზმა გადაწვა სამგორი და აქრა ვენახები, თუთიას ხეები, ბაღები, აყარა სოფლები, მცხოვრებთაგან ზოგი ამოწყვიტა, ზოგიც ირანს გარეკა. მას შემდეგ გავერანდა სამგორი.

გივი ახლა ხედავდა, თუ როგორ ხდებოდა სიცოცხლის აღდგენა ისტორიული ქარტახილებით მოხრებულ ადგილებზე. გზად გივიმ ნახა, თუ რა მაღალი მთიდან ჩამოუყვანიათ ბეტონის არხი. მთის თხემზე გაუკეთებით ივრის დასაგროვებელი დიდი აუზი. წყალი იმ აუზიდან შემოვა არხში და დაეშვება ქვევით. აქ წყალი შვევა მილებში, გადაჰყრის საცხენისის ზევს და არხით გაემართება მარტყოფის ხევსაკენ.



დიდი ლილოს ახლოს ახალი სოფელი ნახა გვიმ. აქ სამგორის მშენებლები ცხოვრობენ: მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები. აქ არის ფოსტა, სკოლა, საბავშვო ბაღი, აფთიაქი, გასტრონომიული მაღაზია. ეს სოფელი გაშენებულია „ცოდვის ხევის“ პირას. შაპ-აბაზა თურმე ამ ადგილას შეყარა მოხუცები, ქალები და ბავშვები და დაახოცვინა. ამის შემდეგ უწოდა ამ ხევს ეს საშინელი სახელი ქართველმა ხალხმა.

ავტომანქანა მლაშე ტბების მიდამოებს მიუახლოვდა, ტაფობში ჩაეშვა და მომავალი ზღვის ფსკერზე გაიბრინა. მალე მთის ძირას შეჩერდა. გივის მამა ჩამოვიდა, გივის ხელი მოჰკიდა და მთაზე ავიდნენ.

მთის მარჯვნივ თბილისი მოჩანდა, მთის მარცხნივ კი ავჭალა, გლდანი. გადახრუკული იყო მახათის მთის კალთები. ტაფობში კი მზეზე სამი მლაშე ტბა ბრწყინავდა.

— აქ რომ ზღვა დადგება, რა საამური იქნება ცხოვრება! — თქვა გივის მამამ. — ამ წვანდება მახათის

მთის ფერდობები, გაშენდება კოტეჯები, პიონერთა ბანაკები, საწყლოსნო სადგური, დასასვენებელი სახლები, ზღვაზე ივლისის მორტიანი ნავეები... ხოლო არხი მორწყავს უდაბურ მიწებს და გაშენდება სოფლები. აყვავდება მემინდვრობა, მეხილეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა. ასე გააცოცხლებს იორი სამგორის ველს...

ორმოცდაათი წლის წინათ მლაშე ტბების ნაპირას დიდმა ბელადმა რევოლუციის დროს ააფრიალა. შენუნდა გახსოვდეს, რომ

იმ დროის გამარჯვებისათვის დიდი ბრძოლები გადაიხადა ხალხმა. ამ გამარჯვების შემდეგია სამგორის მშენებლობაც.

ასე ეუბნებოდა მამა გივის ერთი კვირის წინათ, როცა მას სამგორის მშენებლობა დათვალა იერებინა, ახლა კი გივი თავისი თვალით ხედავდა, თუ როგორ მოდიოდა იორი არხში. ბავშვი ფეხის ცერზე დგებოდა, კისერს იგრძელებდა, რომ კარგად დაენახა მოხუცილე წყალი.

— ვაშაა! — დაიგრილა ზღვა ხალხმა. ამ ხმაში გივის წკრიალა „ვაშაც“ ერია.

წყალი მოვიდა შხუილით და გაექანა ტაფობისაკენ, თავისი ახალი ბინისაკენ. პიონერებმა ყვავილები დააყარეს იორს. თაიგული შეაგდო ტალღებში გივიმაც. იორმა შეათამაშა ყვავილები, გულში ჩაიკრა, მერე თეთრ ქოჩორზე მოიგდო, თითქოს ამით მადლობას უხდიდა ხალხს.

გივიმ ვერ მოითმინა, ფეხთ გაიხადა და სიხარულით შეტოპა ტალღებში, და განა მარტო გივიმ შეტოპა? ერთი მოხუცი კოლმეურნე ივრის ტალღებს მოადგა და დაიძახა:

— ხალხნო! იორს გაუმარჯოს! ვინც ეს წყალი მოიყვანა, იმათ გაუმარჯოს! ვინც ეს ცხოვრება მოგვანიჭა, იმას გაუმარჯოს! ვაშა!

— ვაშა! — აიტაცა ხალხმა მოხუცის შეძახილი.

ივრის ტალღები კი ხტოდნენ, თამაშობდნენ, ცელქობდნენ.

ზღვა ხალხიც ზეიმობდა და მღეროდა.



ღვაწლმოსილი მწერალი

ნახევარ საუკუნეზე მეტია ქართულ მწერლობას ემსახურება ნინო ნაკაშიძე. წელს, იანვარში, მას 80 წელი უსრულდება, მაგრამ მხცოვანი მწერალი მაინც მხნედ გრძნობს თავს და ახალ-ახალი ნაწარმოებებით, კარგი საბავშვო მოთხრობებით ამშვენებს ჩვენს შურნალებს.

შემოქმედებისა და მოღვაწეობის ხანგრძლივი, მეტად ნაყოფიერი გზა განვლო დღემდე ნინო ნაკაშიძემ. გასული საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული, მას კალამი ხელიდან არ გაუგდია. ნინო ნაკაშიძის კალამს მრავალი მოთხრობა ეკუთვნის, ხალხი მისმა ცნობილმა პიესამ „ვიწი არის დამნაშავე?“ ქართულ დრამატურგიაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა. ეს პიესა, რომელიც კაპიტალისტური წყობილების უსამართლობით გამოწვეულ ოჯახურ ტრაგედიას გვიხატავს, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე იდგმებოდა და დღესაც ზოგჯერ გამოჩნდება ჩვენს თეატრებში და იზიდავს მაყურებლებს.

ნინო ნაკაშიძის ნამდვილი გვარი ანთაქია. დაიბადა 1872 წელს, გურიაში. იგი გახდა მეფელზე ცნობილი ლიტერატორის ილია ნაკაშიძისა. ილია დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის მიმდევარი და მეგობარი იყო. ნინო ნაკაშიძე თავისი მეფელის მეშვეობით დაუახლოვდა ტოლსტოის ოჯახს, ახლოს გაეცნო ტოლსტოის ცხოვრებას. ნინოს საინტერესო მოგონება აქვს დაწერილი ტოლსტოისთან შეხვედრებზე.

ნინო ნაკაშიძის აღრინდელი მოთხრობები ასახავს 900-იანი წლების გურიის გლეხკაცობის ცხოვრებას. მწერალს მხატვრული სიმართლითა აქვს მოცემული მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ გურიის გლეხობის ბრძოლის სურათები.

მარტო კალმით როდი იბრძოდა მწერალი ხალხის ინტერესებისათვის, თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ — 1908 წელს იგი თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის გადაახალხლეს კიდევ შორეულ ვიატიკის გუბერნიაში.

მრავალი თაობა აღზარდა რევოლუციამდე სხვა-სხვა სახეობის შურნალებმა „ჯეჯილიმა“ და „ნაკადულმა“. ერთ-ერთ მათგანს — „ნაკადულს“ — 1910 წლიდან რედაქტორობდა ნინო ნაკაშიძე. ამ შურნალში ბექდავდნენ ლექსებს და მოთხრობებს აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, შოი მღვიმელი, ი. ევდოშვილი, გ. ქუჩინიშვილი.

ნინო ნაკაშიძე ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო ლიტერატურაში. მისი საბავშვო მოთხრობები ნორჩ თაობაში ზრდის პატრიოტიზმის, მეგობრობის, ბუნებისა და სწავლისადმი სიყვარულის გრძნობას. ნინო ნაკაშიძე ჩვენი შურნალის უახლოესი თანამშრომელია.



ნინო ნაკაშიძეს

(დაბადებიდან 80 წლის შესრულების გამო)

მაღალ მთიდან გადმოიქრა,
თვალუყუყუნა ნაკადული,
ყვავილები გადაჰკოცნა
ახატული, ჩახატული.


ნაკადული—ეს შენა ხარ!
ყვავილები—ყმაწვილები!
— ჩვენი ქვეყნის მომავალი,
ჩვენი გულის ნაწილები.

„ნაკადულის“ ცვრებისაგან
ეს რა დიდი ბალი შექმენ,
რომ ცოცხალი ყვავილების
ნიაღვარი მოდის შენკენ!

სხვა რა გინდა? შენმა გულმა
ხომ ოცნება აისრულა!
შენი აფრა კვლავ ფრიალებს,
ნავსადგურში არ მისულა!

გისურვებ, რომ კარგ მოთხრობებს
შემდეგშიაც უხვად სწერდე
და სამშობლოს სამსახურში
ხელმეორედ დაგვიბერდე.

ი. გრიშაშვილი



ქართლოს კასრაქი

ნ ა მ ც ხ ვ ა რ ი

მხატვარი ა. ბანძელაძე

ახალი წლის წინაღამეს ნიუ-იორკის ცენტრისფერი ღრუბლებით დაიფარა.

ცივი, ნესტიანი ცადაბჯენები თხელი ნისლით შეიბურა. თოვა დაიწყო. ფიფქები ფარფატით იშვებოდნენ და იკარგებოდნენ ვეება ქალაქში.

ტკბილეულობის მალაზიასთან იღვა ახალგაზრდა. გამხდარი ქალი, ძუძუმწოვარა ბავშვით ხელში.

მის წინ ინთებოდა და ქრებოდა რეკლამა. ვიტრინის დაორთქლილი შუშის იქით, ბროლის ლარნაკებზე, მოჩანდა ნამცხვარები, ფუნთუშები, ქაღები, პუდინგები, შამპანურები, ყველა ყაიდის შოკოლადი.

რეკლამის წითელი შუქი მკრთალად ანათებდა ქალის ლამაზ, გამხდარ სახეს, რომელზედაც მძივბივით ასხმოდა ცრემლები.

სველი ფილაქანი ჯადოსნურ ხალოჩასავით ათასფერად ელავდა რეკლამის შუქზე.

ღიდის მეკრძზე მიხუტებულ პაწაწას ჩასძინებოდა.

ზურგს უკან შორს ეღავდნენ რეკლამები, რეფლექტორები, მანქანათა რიგი რიგს მისდევდა...

თმაბორძგნოლი ქალი, ანთებული თვალებით, ხარბად შეჰყურებდა ნაირნაირ ორცხობილს.

... იგი რამოენიმე დღის მშვიკი იყო.

სამუშაო არსად არ არის მთელს ამერიკაში. ჯიბეში კი ერთი ცენტრიც არა აქვს.

ცისფერ ძონძიბში გახვეული მისი პაწაწა, საყვარელი ბიჭუნა. ძალშიც კი კენესის შიმშილისაგან. ნამცხვარებმა მაგნიტივით მიიზიდა დოვა. ბავშვით ხელში გაემართა მალაზიის შესასვლელისკენ.

კუთხეში მდგარი პოლისმენი გულგრილად ლეჭავდა სიგარას. კარი შვეიცარმა გაუღო.

მალაზიაში შესულს თავბრუ დაახვია ნამცხვრების სურნელებამ, რომელსაც მდიდარი ვერასოდეს ვერ აფასებს. ეს იყო რძის, შაქრის, ფქვილის სუნი, სეცოცხლის სუნი...

დედამ უფრო მაგრად მიიკრა მეკრძზე პაწაწინა. შემდეგ გამყიდველს მიუთითა უზარმაზარ ნამცხვარზე და ჩანლებილი, ხრინწიანი ხმით წარმოთქვა:

— გამიხვიეთ ის ნამცხვარი, თუ შეიძლება!

— მთლიანად?!

— დიახ, სერ, მთლიანად!—უპასუხა ოდნავ დაბნეულად და შურით თვალი შეავლო დასლოთან მდგომ მდიდარ ქალბატონს, რომელსაც უძვირთასისი ქურქი ეცვა. ქალბატონმა მაგრად ჩასჭიდა ხილი ვერცხლის საფულოს და შემკრთალმა შეხედა შვიცარს.

გამყიდველმა აიღო დიდი, მოგრძო ნამცხვარი, კოხტად გაახვია ცისფერ ქალადღში და ბავშვიან ქალს დახლებზე გადმოუღო.

დედამ თავისუფალი ხელით აიჭაია შეხვეული ნამცხვარი, ძუ ვეთხვივით მოწყდა ადგილიდან. ფეხი ჰკრა კარს. დაბნეული შვიცარი მხრით კედელს მიანარცხა და ქუჩაში გაიჭრა...

ეს თალოს დახამხამების ყომაო მოხდა.

კუთხეში მყოფმა პოლისმენმა თვალი გააცოლა ქალის ლანდს. რომელსაც ორი მოგრძო, შეხვეული საგანი მეკრძზე ჰქონდა მიკრული.

ზურგს უკან სტვენა და პოლისმენის ყვირილი მოისმა.

დედა შეშლილივით მიბრბოდა... თვითონაც არ იცოდა საით... იცოდა მხოლოდ ის, რომ უნდა გასცლოდა საფრთხეს...

დედა გარბოდა... გარბოდა...

პატარას გამოედვიდა და ატირდა...

გონებადბნეულ ქალს თავისივე ფეხის ხმა აფრთხობდა. გარბოდა ქშენავეარდნილი. ნეტავი როგორმე ხიდის იქით გაასწროს მღევარს! სველ ასფალტზე ფეხი გაუსხლტა. უკან მიიხედა, აშკარად შეამჩნია მღევარი— ახმახი პოლისმენი.

ყველაფერი დატრიალდა დედის გარშემო: ფილაქანი, ქუდღამოფხატული და საყელო-აწეული მოქალაქე, ელნათურები, ავტომანქანების კრიალა ფარები, თოვლის ფიფქები...

თავში თითქოს ვიღაცა ჩაქუჩს სცემდა. დაღლილობისაგან ჩაიკეცა, მაგრამ კვლავ გასწორდა წელში და სირბილს უმატა.

ცალი ხელით ბავშვს იხუტებდა მკერდზე, მეორე ხელით ნამცხვარს... აი ხილიც!

აჰ, ნეტავ, როგორმე გაასწროს ხიდზე მღევარს... ხიდს იქით ჰაიდ-პარკში შეიჭრება და იქ დაიმალება ნაძვებს შორის. თუ შეიპყრეს, სცემენ, ნამცხვარსაც წაართმევენ და მშვიერიც დარჩება...

ხიდის ცივ მოაჯირს მიეყრდნო დაქანცული.

ვერა, ვერ გადაასწრებს ხიდს იქით. სურვილი წინ მიიწევს, მაგრამ ფეხები უკან რჩება.

ეს საბედისწირო ნამცხვარი მაინც მოიშოროს, რომ მძიმე ბრალდებას თავი დააღწიოს...

რკინისქუსლებიანი მღევრის ფეხის ხმა უახლოვდებოდა, მაგრამ დედა ვეღარ იძვროდა აღვილიდან.

შიში და სასოწარკვეთილება, რომ ნამცხვარს უნდა გამოსთხოვებოდა, სასტიკად ებრძოდნენ ერთმანეთს.

სწორედ ამ დროს რეზინის ხელკეტი მოხვდა თავში, თვალწინ წითელი წრეები დატრიალდა...

ქალი ინსტიქტურად გაქანდა წინ და ხიდის მოაჯირიდან მდინარეში შეხვეული ტვირთი გა-

დააგდო. ღონემისდელი ჩაიკეცა. მისე ღაღღა აწვილილი, სამინოდ გამხდარი კანკალით ელოდა მეორე დარტყმას.

— ეს რა არის?— დაიღრიალა პოლისმენმა.
— ჩემი ბავშვი...— აღმოხდა დედას ქვეთინით.

პოლისმენმა გულზე მიხუტებული საგანი აპგლიჯა ტლანქად.

— ესაა ბავშვი?

ეს იყო ნამცხვარი.

დედის კივილმა შეარყია სივრცე და ხიდის თაღებში გაიფანტა.

მდინარის მღვრიე ტალღებმა კი, ნაპირებიდან მოგლეჯილ ყინულებთან ერთად, მისი ბიჭუნა წაიღეს იქ, სანაც მას არც დედა ჰყავდა, არც მამა...



— ჩემი ბავშვი... — აღმოხდა დედას ქვეთინით.



მერვენი ლეხანია

პოემა

მხატვარი ა. გიგოლაშვილი

* * *

მურმან ლეხანაძის პოემა „ჩანდრა“ პრემიებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკუ ცენტრალური კომიტეტის მიერ საუკეთესო საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებზე გამოცხადებული კონკურსის ჟიურის მიერ 1951 წელს.

პ რ ო ლ ო ბ ი

უხსოვარ დროდან, როგორც ლამპარი,
შორს ლიცლიცებდა ინდური მიწა.
ფარშევანავით ქრელი მთა-ბარი
ლეგენდებად და ზღაპრებად იქცა.

მას დაეძებდა ცეცხლით და ომით
მილიონების სისხლით დამთვრალი
მაკედონელი მძინვარე ლომი —
ფაფარაშლილი შმაგი სარდალი.

მას დაეძებდა ძველი მხედრობა,
მას დაეძებდნენ ძველი ვაქრები,
მას დაეძებდა მთელი ევროპა —
მოკლე არშინით, გრძელი დაშნებით...

ენიზმრებოდით რძისფერი ძვალი,
თეთრი ტაქრები მარმაროლოსი.
ვინ არ შესინჯა ხრიკით თუ ძალით
მაღალი ზურგი ინდურ სპილოსი!

და, როგორც ამბობს პოეტი მირზო^{*)}
ჩვენი საბჭოთა დროის მგოსანი:
ბოლოს ინდუსებს განგესის პირზე
კაცი უხილავთ გასაოცარი;

ცალ ხელში თურმე დამბაჩა ებყრა,
მეორე ხელზე მოსთრეგდა თოკი,
და გადაჰიმულს ინდოთა ქვეყნად
თოკს უცხვირპირო მოსდევდა დოგი...

მთლად თეთრად იყო ბრიტი მორთული, —
თეთრი სამოსით, თეთრი წაღებით,
მაგრამ მიმხვდარან—იყო მოსული
შავი ძაღლით და შავი ზრახვებით.

დოგი ძაღლია და ძაღლის ჯიში,
ის ყველა ძაღლზე უფრო ძაღლია:
ურობევით ღოჯები პირში,
თვითონ პირი კი მთელი სახლია...

და მერე, დოგთან დაკავშირებით,
ძველი ინდური თქმულებაც ყვება:
მიქროდნენ თურმე ფრთავაშლილები,
მისდევდათ თურმე მყეფარის ყეფა...

მზემ განვის ველი გადაიარა
და ყრულ გაჰქონდა ჯუნგლებს ყუიანი...
შებრუნდნენ, ნახეს, დოგი კი არა—
უკან მისდევდათ თურმე შიმშილი!

^{*)} საბჭოთა პოეტი მირზო ტურსუნ-ზადე, ავტორი წიგნისა „ლექსები ინდოეთზე“.



მაგრამ ბილიკებს მოჰყვება დინჯად და არაფერი არ უხარია; ბალახებს სინჯავს—დაეძებს ქინკარს, ქინკარს უყვარს ბაბუს ძალიან...

ბენგალიაში ახლა მარტა და იქ იწყება მოთხრობა ჩვენს. ცის დასავალი წითლად ანთია, განვის ნაპირებს პალმები ჰშვენის. წინდის ჩხირივით ხმელთა ბრინჯი — წაჰკიდებთა ყვითილი გავლვა. ყანაში მოჩანს პატარა ბიჭი — შავი ბიჭია და თეთრი ჩაღმა...

ყანაში მოჩანს პატარა ბიჭი, მზე მისდგომია ფეფილი დახრილს. წინდის ჩხირივით წკარუნებს ბრინჯი, დახრილა ბიჭი და ყანას მარგლის. წინდის ჩხირივით ხმელთა ღერი, მუსონმა აღარ ჩამოიქროლა... შეჩერდა ბიჭი და ჩუმად მღერის, სიტყვები თვითონ გამოივინა:

„მუსონებო, მოდი, დამწიფეთ ბრინჯი! ჰეი, მუსონებო! — მღერის ჩანდრა-ბიჭი. წვიმა უნდა ჩანდრას, წვიმა უნდა ბაბუს, როდის გაივინებს ბაბუ წვიმის შხაპუნს... ავაღა ბაბუ — შია ჩანდრას ბაბუს!“

ასე მღეროდა პატარა ჩანდრა, მაგრამ მუსონი აღარა ჩანდა. ბრინჯის ყანსიკენ ციდან გაბმულად არ მოდიოდა წვიმა შხაპუნს. კვიპაროსები კი ჰგავდნენ შუბებს, მაგრამ არ ჩანდა ღრუბლების ჯარი, არ მოდენდა საწვიმარ ღრუთელს მუსონი — დიდი სამსრეთის ქარი.

მზემ მიატოვა დინჯი პალმები, იისფერ ბინდში პალმები ღვანან, მზემ მიატოვა ბრინჯის ყანები და ჩანდრაც ტოვებს პატარა ყანას. ბრინჯაოსფერი, გაკუბულელი, ბერიკაცივით მშვიდი და დინჯი, ასე უღროოდ დაკაცებული სახლში ბრუნდება პატარა ბიჭი...

ჩანდრამ არ იცის რა არის წიგნი, ჩანდრამ არ იცის რა არის ჩანთა. ჩანდრამ კი იცის რა არის ფიჭვი, რაა ოცნება და რაა ნატვრა, და სანატრელიც პატარა ბიჭის შავი პურია და თეთრი ბრინჯი...

ჩემო პატარა ცუვარუმელებო, ჩემო კარგებო, ჩემო ანცებო, ჩიტუნებავით უზრუნველდებო, მზიურ საბჭოთა ქვეყნის ბავშვებო, ოქტენი ტოლია პატარა ჩანდრა, თქვენსავით ყვავილს უნდა ეძებდეს, პეპლებს დასდევდეს თქვენსავით მარლად, თქვენსავით თვალს დააცეცებდეს...

გვიან შეალო ლერწმის ხუხულა, „სალამი, ბაბუ!“—წარმოთქვა ბიჭმა. ეძინა მოხუცს. ეძვით უყურა და, როგორც გუშინ, შეიპყრო შიშმა. თივაზე იწვა შიშველი კაცი, გარინდებოდა გამხმარი მკერდი. აუფუსფუსდა ფიქრები ყმაწვილს, ბერიკაცს ფრთხილად მიუწვა გვერდით. ყური დააღო ჩავარდნილ მკერდზე, ძვერდა გული და — დამშვიდდა ჩანდრა. გულს მოეფონა, წამოდგა ზეზე და გაიფიქრა, სძინავსო მართლაც.

მერე ქინკარი გადაარჩია, დაანთო ცეცხლი, შემოდგა ქვაბი. ჩანდრას არ შია—თავბრუ ეხვევა, თვლებს, და შიშინებს მომწვანო ქაფი... არ დაეძინა ლერწმის ხუხულას ცეცხლზე წაქცეულ ქვების შიშინით, სწუხდა ბინდბუნდში ცეცხლი ღელუნა და დადიოდა ქოხში შიშშილი.

აღარ ივარცხნის კერია ქორორს, — ჩაქრა და ქვაბქვეშ აღარ ღულუნებს. ღამემ იმლაგრა და როგორც ფოჯო გადაეფარა ლერწმის ხუხულებს. და ვიდრე სძინავს პატარა ჩანდრას, დაე მოთხრობა თავისს მოჰყვეს: დადის შიშშილი ინდოთა ქვეყნად, დაეძვებს საწყალ ბენგალურ ქოხებს. ღამე შავია, როგორც კამეჩი, დოჯიც შავია გაწუწუებული, ამიტომ არ ჩანს ინდურ ღამეში ქოხის კარებთან ჩაცუცქებული. მაგრამ იცნობენ შურდალს და ოხერს, და იმის ხერხებს მსაკერულს და ქურდულს, გულდაგულ კეტენ ცარიელ ქოხებს, მერე შიგნიდან უგდებენ ურდულს. მაშინ აღგება დოჯი — შიშშილი, მუხანათია და სახეს იცვლის... უცებ ჩაესმით ქოხში სისინი და სახურავზე შრიალეს ისლი. საოცარია ბრიტანელ ძალის და უხსენებლის თავის მსგავსება! აღგება დოჯი, სასურავს აყრის და ქოხში თავქვე ჩაიწლანუნება... მოისრიალებს ოთხივე კუთხეს, ააშრიალებს თავს და ნამჯას, ჩახედავს ყველა ცარიელ ჭურჭელს — ბრინჯის მარცვლი ხომ არსად ჩარჩა! ხომ მშვიდია პატარა ჩანდრა, ბაბუ ხომ არის გასიებული, ქვაბქვეშ კერია ხომ კარგად ჩაქრა, ხომ კარგადაა გაცივებული! აღგება, კულით გამოჩხრეკე ნაცარს და ამოავებს კერას ასე. ჰგავს მაჯისსიმსო დახვეულ ბაწარს და თავი უღვებს ქერტილიან ტანზე.

დალაშქრე ისმის მისი სისინი, •
თავს ასავსავენ და ბოლოს იქნევს...
მთელ დამეს მეფობს ქოხში შიშვილი
და ებრძვის ხალხი საშინელ სიზმრებს.

ჩანდრამაც ბევრი სიზმარი ნახა,
ბევრი იშფოთა და იწრიალა:
ჯერ ლეოპარდმა დაალო ხახა,
მერე ასპიტმა გაისრიალა,
ახლა ფერმერი გამოჩნდა მწყრალი,
სცემდა ჩანდრას და ლესავდა დანას;
ეს აღბათ ბავშვმა მოპპარა წყალი —
სურდა მოერწყა პაწია ყანა.
ბოლოს ფერმერიც აღარსად ჩანდა,
ცას გაერია ოქრო და ვერცხლი,
და განგის ველზე პატარა ჩანდრამ
გუნდი და გუნდი იხილა მერცხლის...

რას ჟრიალებდა მერცხლის ლაშქარი,
ნეტავი რისგან ელხინებოდა!
გუნდი მიქროდა ჩრდილო-დასავლეთ,
გუნდიც გაფრენას ეპირებოდა.
უცრად ერთი ჩამორჩა ლაშქარს,
და ჩანდრას თავზე შეკრა კამარა:
„რას მავალებო!“
„რას მამარებო!“
ჩაფქრდა ბიჭი და დაბარა:
„გაფრინდი, ჩემო შავო მერცხალო,
მომიტანეო პური...“
მერე სიზმარი ცხადმა შეცვალა
და განიფანტა ბური.

შორს ლიცლიცებდა ნელა ცისკარი
და განთიადი თვალებს ახელდა.
ჩანდრამ აწონა ყველა სიზმარი,
მერე ბაბუას საწოლს გახედა.
კედელთან იჯდა ლანდალ ქვეული,
გაშტერებოდა სარკმელში თვალი,
და მიცვალებულს ჰგავდა სნეული,
ჩუმო, უთქმელი, კუშტი და მწურალი...
„აქ მოდი, შევილო!“ — წარმოთქვა ჩუმად,
ამოიგინა მოხუცმა ერთი.
შეკრთა ჩანდრა და წამოხტა უმალ,
ბერიკაცს წყნარად მიუჯდა გვერდით.
„ყური მომიგდე, ჩემო ბიჭუნავ,
ხედავ, შიმშილით რარავ ვსივდები?!
ყური მომიგდე, ჩემო ბიჭუნავ, —
ძვლებს ენატრება განგის ზვირთები...
ყველა იმედი ამოიწურა,
აწ არაფერი არ მეშველებს.
ყური მომიგდე, ჩემო ბიჭუნავ,
ჩემი მზე მალე ჩაესვენება!
შენც არა გყოფნის მტკაველი ყანა,
მე ზედმეტ ბარგად მხრებზე გაწევარ,
შენ სახეს მალავ... შენ ტირი, განა?!
ნუ, ჩემო კარგო, ბერიკაცი ვარ...
უკანასკნელი პატივი დამდე,
სხვას არ გავალებ, ამ ერთის გარდა:
მიმეყვი წმინდა განგეისს წულამდე,
დამტოვე წმინდა ქალაქის კართან!“

კვლავ ესალმები პატარა მკითხველს —
საბჭოთა მიწის ბატონს და პატრონს;
დავიძებ ნათელ ფერებს და სიტყვებს,
და აღბათ ნორჩი მკითხველიც ნატრობს —
იხილოს მზე და ფერები დილის,
გალიმბული ზეცა იხილოს,
ჩვენი მოთხრობის ყმაწვილი გმირი
ერთხელ ბავშვს ჰგავდეს და გაიღიმოს...
მაგრამ მოთხრობა ასე გრძელდება —
ერთფეროვანი და სვედიანი.
ხან დაღამდება, ხან გათენდება —
ჩვენი მოთხრობა ასეთი არი.
მზე ინდოეთში ისე ცხელია,
რომ წვავს ყველაფერს, მაგრამ არ ათბობს...
ეს, ინდურ მზისქვეშ ყოფნა ძნელია!
თუმცა რა უტირს ინგლისელ ბატონს!
რა ენაღვლება ინგლისელ ბატონს
ინდოეთი და ინდოთა ხვედრი,
შავი მგზავრების შეხვედრა ართობს —
გზას მოამტვერებს მაღალი ეტლით.
პლანტაციიდან სახლში ბრუნდება,
გზას მოამტვერებს ეტლი დამფრთხალი.
„გზა მივცეთ, ბაბუ!“ — ჩქარებს ჩანდრა,
განზე გადადგა ბაბუ ხანხალით,
და მილასლასებს მოხუცი ასე
ბენარესისკენ მიმავალ გზაზე...

ბენარესისკენ* მიმავალ გზაზე
მზეა, მტვერი და უჩრდილო ხეა,
ბენარესისკენ მიმავალ გზაზე,
მილასლასებენ მეშვიდე დღეა,
ბენარესისკენ მიმავალ გზაზე
დასიებული გვაგმები ყრია...

არც დიდებული მშვენით ფარჩები,
არცა რაიმე ტანზე აცვიათ, —
დედამოხილა ბერიკაცები
უტირისუფლოდ გზაზე აწყვია.
გზაზე აწყვია... და იმას იქით
მშვიერ-მწყურვალთა რაში დიდა,
მიდიან კენტად, მიდიან რიგით,
„წმილათა წმიდა“ ქალაქს მიდიან.
მიდიან მშვიდად, დაჯერებულად,
შორს ბენარესის ტპარები მოჩანს.
ოჯახზე ფიქრით გაშტერებულან,
მკამელი უნდა მოაკლონ ოჯახს,
და სამოთხეში რომ მართლა მოხვდნენ,
უნდა პაპათა წესი დაიცვან,
„წმიდა“ ქალაქში შიმშილით მოკვდნენ
და მერე „წმიდა“ ცეცხლზე დაიწვან...

ჩამწკრივებულან ტპარები წყლისპირ
და თითქოს თვისი ეშხით ტპებთან —
ალივლივებენ გუმბათებს ცისფერს,
განგის სარკემო იხედებიან.

* ბენარესი — „წმილათა წმიდა“ ქალაქი
მდინარე განგის ნაპირზე, სადაც 2000-მდე ტპა
ძარია. ინდოელთა ცრუ-რწმენით ბენარესში
სიკვდილი და დათვისამებრ ცეცხლზე დაწვა სა-
მოთხეში მოხვედრის საწინდარია.



„ბაბუ, ეს არი წმიდა ქალაქი?“
 „ეს არი, შვილო, მადლობა გამჩენს!“
 „ბაბუ, მოვხარშო, გინდა, ბაღახი?“
 წარბს შეგკრავს ბაბუ და ღუმელს არჩევს...
 ქალაქის კართან შედგნენ მგზავრები
 და ლოცულობენ, როგორც წესია...
 ასეთი იყო გზა ბენარესის,
 მაგრამ წინ თვითონ ბენარესია.

• • •

„ბიე, მუსონებო,
 დაამწიფეთ ბრინჯი
 ხად ხართ, მუსონებო?“
 აღარ მდერის ბიეი.
 აღარ ნატრობს ჩანდრა
 აწი წვიმის შხაპუნს,
 აღარ მოშვივდება
 აღბათ ჩანდრას ბაბუს.
 ბაბუ ქალაქშია —
 მოცილა ბიეი.
 იქნებ აღარც შია
 და კოცონზე იწვის?!

„მისმინე, ჩემო სიხხლო და ხორცო,
 ყრმაო ბებერო და მაინც ნორჩო,
 თეთრმა ბატონმა დაგვასამარა,
 გტოვებ გზისა და ბედის ამარა.
 ვეღარ შეგბედებით ამ ქვეყნად აწი,
 პატიოსანი იყავი კაცი
 გიყვარდეს ტკბილი ინდური მიწა,
 მისი მტერი და მოყვარე იცანი!“ —
 თქვა და ატირდა მოხუცი კაცი,
 მერე შეჩერდა აცრემლებული;
 უცებ საჩქაროდ აკოცა ყმაწვილს
 და მიატოვა გაშტერებული...

ასე დასცილდა მოხუცი ყმაწვილს
 და ბნელ ქუჩებში თვალს მიეფარა.
 წმიდა ქალაქი მოეცვა ღრმა სილს
 და ქვაფენილზე ხალხი ეყარა.
 „ბაბუ, ძვირფასო, შეჩერდი წამით!“
 მკვდარულ სიჩუმეში მისძახდა ჩანდრა.
 ქალაქში იღვა უკუნი ღამის,
 მაგრამ მოხუცი აღარხად ჩანდა.
 ღუმდა ღამე და ღუმდა ქვეყანა,
 ადამიანი ბედს გაეწირა,
 დიდ მოედანზე ხალხი ეყარა,
 მიეგლო ჩანდრა

და ჩაეძინა...

ღილით ჩანდრა გაღვიძა
 ვეებერთელა სპილომ.
 სპილოზე რომ კაცი იჯდა, —
 თქვა: „ადექი, შვილო!“
 ჩანდრამ თვალი გაახლა,
 მიაშტერდა ხორთუმს:
 ჯერ გაქცევა დააპირა
 და ტირილიც მორთო,
 მერე... ხურმა დაუნახა
 ხელში უცნობ ძაბს,
 თვალში მუშტი ამოისვა
 და თქვა: „ძია, მშოა“...

მაშინ უცნობმა სპილოს ენაზე
 შესძახა რაღაც, და მყის პაწიას
 მოხვია სპილომ ხორთუმში ნახად,
 მერე ნელ-ნელა ცაში ასწია,
 და, როცა ხელი ჩაავლო მარჯვედ
 კაცმა და ბიეი უკან დაისვა,
 გაიწყრილა რებაბმა* უცებ
 და უცხო კაცის ლექსიც გაისმა...

ღაძრა სპილო ხორთუმის რწევით,
 მიირწეოდა უზარმაზარი.
 ხილის გორები ელაგა ქვევით
 და ქრელაქრულა ქუსდა ბაზარი.
 დახლებთან იღვწენ სქელი ვაკრები —
 „დიდებულნი და პატოსნები“,
 დაირხეოდნენ ჭრელი თავშლებით
 პირშეხურვილი მანდილოსნები.
 ხილს იწუნებდა ქალი მწყაზარი,
 სქელი ვაჭარი მალავდა ღამილს.
 ჩანდრამ პირველად ნახა ბაზარი,
 პირველად ნახა ამდენი ხილი.
 ფერები ლალის, ფერები ძოწის,
 ბანანები და ანანასები...
 პირველად ნახა ამდენი ძონძი,
 ამდენი სტაგრა და ატლასები...
 ამდენი ნოხიც პირველად ნახა
 და თეთრი ბრინჯიც — ზედ გაფენილი.
 პირველად ნახა ამდენი გლახა,
 მოწყალეებისთვის ხელგაშვერილი...
 მხოლოდ სპილოზე მეფურად მჯდარი
 ხელს არ იშვერდა ის უცხო კაცი,
 რადგან იმ ხელში ეჭირა ქნარი,
 რადგანაც მგლახის ცილა ფასი.
 მაგრამ არ იყო არც ის ხავსებით
 მეფე

და თვალი ეჭირა დაბლა:
 იღვა ხორხოცი ბაზრის ქაღვიბის,
 ხილის გორაში არჩევდნენ დამაპლს,

* ინდური მუსიკალური სამეზიანი საკრავი.

ესროდნენ სპილოს, და სპილოც შიშით
ფიქრობდა: „ხილი არ გამეფანტოს!“
„ზოგი ეშვებქვეშ მიპქონდა პირში,
ზოგსაც ზურგსუკან აწვდიდა პატრონს,
მგოსანს მაგისთვის რომ არ ეცალა,
მკლავი გაპქრა და ანიშნა ემაწვილს...
ჩანდრა ქამდა და ხილს მიეძალა...
უცნაურ ლექსებს მღერისდა კაცი:

„მე მიტომ მიყვარს ინდური სპილო,
და მისი ცქერაც მისთვის მალონებს,
უშოვნეს დრო და—შემოპქრეს რბილოს...
და თვით ინდოეთს ახლა მაგონებს.

„დადის მორჩილი და ყურმოპქრილი
ეს ჩემი სპილო შოწყნით გზებით.
ვართ ყურადღებით გარემოსილი —
დამაალი ხილით ვძებნით და ვტკბებით...“

ხშირად ვნახულობ უცნაურ სიწმარს —
მისი ახდენის ვარ მონატრული:
ნეტავ მანახა ბებერი ლომი
სპილოს ეშვებით გამოფატრული!“

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

უკან დატოვეს სეირი ბაწრის,
ხალხის შფოთი და აურზაური;
დუმდა მგოსანი — კუშტი და მკაცრი,
წუთის წინ ლალი და უცნაური.
ალარხად ჩანდა წმიდა ქალაქი
და ზღაპარივით ქრელი ბაწარი;
სპილომ გზადაგზა წიწქნა ბალახი,
მიძუნძულებდა უზარმაზარი.
მიძუნძულებდა, ბალახს ქელავდა,
ქშუოდა — ფრინველს აფრინობდა გუნდად
ფიქრში წასული ჩანდრა დელავდა,
რადგან მგოსანი კვლავ ისევ დუმდა.
ბოლოს ჩასძახა მგოსანმა სპილოს,
გრძელი ხორთუმი გაჩნდა სპილოსი...
განვის ნაპირზე მოძებნეს გრილო
და სასაუშმოოდ დახსდნენ გრილოში.

ჩანდრამ დაწყო ბალახზე ხილი,
ადარ შიოდა, მაგრამ ცხვენოდა.
ეპატარავა უცნობის წილი
და საყვედურის სიტყვას ელოდა,
მაგრამ მგოსანმა მოპქიდა ხელი,
დღუმილის შემდეგ თავი ასწია,
ჩამოუგორდა ნიკაპზე ცრემლი
და ძლივს წარმოსთქვა:
„სქამე, პაწიავ!“

უეცრად ჩანდრა წამოხტა ზეზე
და თავის დამხსნელს ზურგი აჩვენა:
წაიბანცალა, იკბინა ხელზე,
და აქვითინდა გულისდამწველად.
ტიროდა ბიჭი და იღვა ზეზე,
ცრემლის შესრობას არ აპირებდა,
და, თუმცე ტირილის მქონდა მიწეში,
მან არ იცოდა რა ატირებდა...

მაშინ წამოდა თვალცრემლიანი
ხალხის შვილი და ხალხის მგოსანი
და თქვა ხმადაბლა: „ერთი მზე არი,
და თუმცე, პატარავ, ის მზე შორს არი,
ნუ შეგაშინებს ღრუბლების სისქე,
ღრუბელი მალე გაიფანტება;
წამიძელ მზისკენ, სანატრელ მზისკენ —
მზე ინდოეთშიც დაიბადება!
იყურე, ჩემო ლამაზო ბიჭო,
შენ ხარ რებაბის წილ-ხვედრი ბავშვი.
იყურე, ჩემო ლამაზო ბიჭო,
ხალხის გზა გიცდის და ხალხის ტაში.
გასწავლი ინდურ მიწის სიყვარულს,
ხალხურ სიმღერებს და ხალხურ ლექსებს,
გასწავლი ხალხის დარდს და სიხარულს,
და ხალხის შვილი სიმღერას შესძლებს...
წამო, ვიართო, ადარ ღრის მოცდა“
თქვა და აკოცა ცრემლიან თვალში.
სპილომ ხორთუმი მოჰხვია ოსტატს,
მაგრამ წინ წარსდგა შეგირდი მამინ...
და მალღ ზურგზე გვირ ის გამოჩნდა,
როგორც მგოსანი და როგორც ბავშვი.

სპილოს გრძელი ნაბიჯი აქვს —
ასე შვიდი ადლი...
შვიდი დღე და შვიდი ღამეც
ლექსში უცებ გადის.

აწკრიალებს ჩანდრა რებაბს
და წვრილი ხმით მღერის...
ოსტატს ღიმი დასთამაშებს,
ღიმი ყველას მშვენის.



— უფრო მაკრად ჩამოქარი,
შვილო, ხელი ლარებს,
ლექსი თქვი და მიესალმე
შენ ასამის მხარეს..

და ბიჭუნაც ასამელებს
ეუბნება შაირს:
„ვიცი, ვიცი, სადაც მიღის
ასამური ჩაი!“

— შვილო, ცოტაც აუწიე
ხმას და დაიბოხე...
ლექსი თქვი და მიესალმე
ბენგალის ქონებს!

და ბიჭუნაც კარგად იცნობს
ქონებსა და შიმშილს:
„ვიცი, ვიცი, სადაც მიღის
ბენგალური ბრინჯი!“

— შვილო, ზოგჯერ გახედულად,
ზოგჯერ—ღახედულად...
სოფლების და ქალაქების
კარი გაღებულა.

სპილოს გრძელი ნაბიჯი აქვს,
ბარე შვიდი ადლი...
შვიდეკრ შვიდი ღღერდამემც
ლექსი უცებ გადის.

ასე მისდევდნენ ღღერები ღღერებს,
შარები—შარებს, ქალები—ქალებს,
გადაუარეს ასამის ტყეებს,
უკან გადმოქრებს ბეგალის მხარე.
ყველგან ცხოვრებით დაღლილი სახე;
ყველგან მწუხარე ლერწმის ქონები...
სხვაგან ვერ ნახავ, რაც იმათ ნახეს,
და მის ნახევარს ვერც კი მოაყვები
ემწურხისფერა მზე და ჰაერი,
და უცებ მიხვდა გოსება ნორჩის,
რომ უტკბილესი არის შაირი,
და უმწარესი—ცხოვრება მგონის...
მაგრამ ტკბილია იმედოც ხვალის —
ბავშვის ცხოვრებას მიეცე აზრი;
ოსტატმა შეგიძლეს უკურთხა ქანარი
და დაულოცა შაირი ბასრი.
და მერე ბრძენი ოსტატის ენით
ჩანდრამ გაიგო ქვეყნის ანბანი:
„ინდოსტანია სამშობლო ჩვენი,
მაგრამ სხვისია მისი მთა-ბარი...
და რაღად უნდა სიმართლეს მალვა,
დიღბანს ვიქნებით, ჩანდრავ, მშვიერი,
დიღბანს იმეფებს ინდოეთს გვალვა,
თუ არ ჩაძაღდდა გადაშთიელი...“
„ვინ ჩააძაღლოს მზე ბრიტანული,
ვინაა გმირი გასაოცარი?
ვინ აამაღლოს ჩვენი მამული?!“
ფიქრობდა ასე ყრმა და მგოსანი,
ფიქრობდა ასე გზადაგზა ჩანდრა
საყვარელ სპილოს კისერზე მჯდარი...
შორს, ზღვის ნაპირზე, კალკუტა ჩანდა
და კალკუტაში—გემების ჯარი.

* * *

უცხო ცის ქვეშ, უცხო მზის ქვეშ
უცხო გზაა ტიალი...
ემ, მოაქვრდა ლექსს და მკითხველს
საზღვარგარეთ ყილი.

მოენატრა მშობლიური
ჩვენი თბილის-ქალაქი,
ტაშისკარის ქალაქები
და ქვიშხეთის ბანაკი...
ემ, სულ სხვაა შვიდი ფერით
დაწერილი წიგნები —
მშობელ ხალხს და მშობელ მიწას
დაპბრუნავენ ფიქრები.
ვფიცავ, წიგნის დასაწერად
აწი სხვაგან არ წავალ —
სასკოლოს და საბანაკოს
დაწერ თავგადასავალს.
მინდა წიგნი სინარულოს და
ხალისს ირავლივ ფანტავდეს!
„ჩანდრა“ შავი წიგნი არის,
დაე, წითლად გათავდეს!
წინ წამიძებს, მეგობარო,
შავი წითლი დაწერი,
კულკუტაში წითელ პურს და
წითელ ღროშას გაიფენებ!

* * *

გამოჩნდა სპილო ქალაქის თავში,
მოაქყაუნებს მოსწავნო წუშამეს.
ჩაფიქრებულია შემერთალი ბავშვი,
შეძაღდან დასცქერს მუშათა უინებს.
შეშლილ ბრბოეში აჩერებს სპილოს
შუბლშეკმუხვნილი ხალხის მგოსანი;
ამიოხს: „კალკუტაც გაჩვენე, შვილო,
გაბარწყინებული და სხივოსანი!“

ასე რომ ბღავის, ნეტა ვინ არი,
ან საყვირები ოსა ყვირიანი?
სად თიკოუნუების ხალხის მდინარე? —
უკვიროს ჩაღდას და გასაკვირია;
რა ამბავია ნეტაც ქალაქში,
უხედულება თუ სოხებდა!
პოოტისკენ გაოთის ხალხს განავაშით...
მოექცა საილო უცებ აღუაში,
მაგრამ არავინ ზედ არ შეხვდა.


არ შეხვდა ხალხმა სპილოს
და არც ყრმას და მგოსანს, —
როდღი ნიშნავს ინდოეთში
სპილო გასაოცარს...
საოცარზე უფრო მეტი
ზღვაში გემზე მოიხას,
და მკითხველიც ცსრა მთას იქით
ხედავს წითელ ღროშას...

„ოსტატო ჩემო, ვისია ღროშა,
ანდა წითელი რად არის ასე?!“
ჰკითხა ყმაწვილმა ქალარა მგოსანს
და უცებ ცრემლი შენიშნა თვალზე...
ყრულ გუგუნეიდა ხალხის მდინარე,
სპილოს აკრთობდა ხალხის გნისი,
იგდა მისი პირნომცინარე,
მზე იცინოდა ღროშის ფრიალში.
და თქვა მგოსანმა: „გახსოვდეს, შვილო,
მე ღროშა არის დიდი სტალინის;
გემზე პურია, პური ძღვენია
ინდოეთისთვის გამოგზავნილი“.
და მერე სპილოს ვეება ტანი
შეირხა ტაშის და ვაშას ბაზე;
იმძლავრა სპილომ, გააპო რკალი
და, როგორც ჯერ არს, წინ წარსდგა სხვაგე,

მაშინ... ვაისმა ხორბლის ჩხრიალს,
ქალარა მგოსანს აუვებს პეშვი...
და თქვა მგოსანმა: „პური კი არა,
შენ ხარ მშვიდობის და ძმობის თესლი...
შენ მოაშუშებ ხალხის იარას,
შენ ხალხის ჯალათს ქუაზე შემოი!“ —
თქვა მგოსანმა და დაავრიალა
მშვიდობისა და სტალინის ლექსი...
„პური!“ — ბლაოდა ხალხის მდინარე,
„პური!“ ისმოდა ხალხის გრიალში.
იღვა მაისი პირმომცინარე
და მზე ყვაოდა ბენგალიაში.

* * *

მერე შავმა ქობახეხმა
თეთრი პური ნახეს,
და თვალეები უბრწყინავდათ
ლანლად ქვეულ ბაღლებს.
ტრიალებდა ხელწისქვილა
ყოველ ინდურ ქობთან...
გუშინდელი ამბავია,
დღისით, მზისით მოხდა!
სპილოს დიდი ნაბიჯი აქვს —
ბარე შვიდი ადლი,
და მართალი სიმღერებიც
ხალხში უცებ გადის.
„შვილო, უფრო გაბედულაა!
კმარა დახედულაა!
სიმაართლისთვის ინდოეთის
კარი გაღებულა!“
მზე შინა და მზე გარეთა,
მზე ქობების კართან!
აწკრიალებს ჩანდრა რეზაბს —
მღერის ცამდის მართალს.
მღერის: „ქვეყნად კომუნისმის
გრივალეები ქრიან,
გაუმარჯოს ქვეყანაზე
წითელ დროშის ფრიალს!“
ედვიტება ბენგალიის
და ასამის შუკებს,
გარს ეხვევა ბიჭუნების
გუნდი სპილოს მუსლებს.
„გაუმარჯოს!“ — შესძახნა



და მისდევნ მტერში
სპილოს შავი ბიჭუნები
თეთრი პურით ხელში.
შორს კი ჯვად გამაღის
და ტიან-შანს იქით
დგას ჯეკაცი წარბშეკრული
კაცის შვილზე ფიქრით.
დახვეულა ლურჯი კვამლი
კრემლის ცაზე ზოლად:
ეს სარკმელთან მისი ტუბილი
ყალიონი ბოლავს.
დგას ჯეკაცი — მბრძანებელი
დედამწის ბრუნვის,
და თეთრდება კაცის შვილზე
ფიქრითა და ზრუნვით.

მ კ ი ლ მ ი

გრძელ სიტყვას მოკლედ ნათქვამი შვენის,
ვთქვი და ვუსურვე მკითხველს კეთილი.
მე დავასრულე მოთხრობა ჩვენი
და გუშინ მწუხრზე დავსვი წერტილი.

და როცა თვე და რიცხვიც დავწერე,
ცულ გუნებაზე ვიყავი დიდხანს,
ვფიქრობდი: ისეც კარგა ვაგწერი,
არ მივუმატებ აღარც ერთ სიტყვას...

მაგრამ ამ დილით ვიბრუნე გული
და სასტიროდ ვიყავ გასული;
გამაშეურეს ქალებმა პური
და ჩასვეს პურში ჩემი ზაჯული.

ქრელი ქათმები ეცოდებოდა
და, თუმცა მამლებს უცქერდა ეჭვით,
ხორბალი აღარ ეზოგებოდა
და ბლუჯა-ბლუჯად ფანტავდა პეშვით...

და გამახსენდა მე მაშინ ჩანდრა —
ჩვენი მოთხრობის ყმაწვილი გმირი;
და გამახსენდა მე მაშინ ჩანდრა —
ბეჩავი ხალხის ბეჩავი შვილი.

მტრედების გუნდი დაქროდა ცაში,
იღვა ხურნელი ქართული სოფლის,
იჯდა ბურში და ხარობდა ბავშვი —
თვალის სინათლე მგოსნის და მშობლის.

და ვთქვი: შენც იყავ, ყრმაო, ვით არი
შენი ხამშობლო მხნე და ძლიერი!
პურით და გულით იყავ მდიდარი,
გოყვარდეს ქვეყნად ყველა მშვიდრი!

გახსოვდეს შენი ლურჯი გორები,
მაგრამ მსოფლიო გადაიარე, —
ათავისუფლე გმირმა მონები
და ხელი მიეც ადამიანებს!





საზღვაო ფლოტის გოგაცალი ოფიცრები

მეგობრებო, ალბათ ყველა თქვენთაგანს უნახავს და აღტაცებული მხერა გაუყოლებია მეზღვაურის ლაშა ფორმაში გამოწყობილი კუჩაში მიძავალი ბიჭების წყობრივების, რომელთა სამხრებზე პატარა ლიტერი „ნ“ არის გამოსახული. ესენი თბილისის ნახიშოვის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის მოსწავლეები — ნახიშოველები არიან.

ახლანდელ მათ საზეიმოდ აღნიშნეს თავიანთი სასწავლებლის არსებობის რვა წლის თავი. ამ ხნის განმავლობაში სასწავლებელი ბევრმა მოსწავლემ დაამთავრა, მათ შორის საუკეთესოთა — მედალოსანთა — სახელები ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი სასწავლებლის მარმარილოს საპატიო დაფაზე. ამჟამად სასწავლებელში საერთო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობენ წარჩინებული მოსწავლეები — მეთავეკლასელი ხუთოსნები: ავრინსკი, აკიშოვი; მეთექვსეკლასელები: პრიანიკი, შლიკოვი და სხვები, რომლებიც წარმატებით სწავლას საუკეთესოდ ათავსებენ აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასთან.

აქ ყველაფერი წინასწარ დადგენილი დღის რეჟიმით მიმდინარეობს. დილის 7 საათზე გაისმის საყვირის ხმა. რამდენიმე წუთი — და დერეფნები ბიჭუნების მხიარული ხმებით ივსება. დილის გამამხნეებელი ვარჯიში, ტუალეტი... იწყება მომავალი საზღვაო ოფიცრების სამუშაო დღე.

დილის რეჟიმი ყველასთვის ერთია. მეცადინეობა ყველა კლასში ზუსტად დადგე-

ნილ საათებში იწყება. საერთო-საგანმანათლებლო საგნების გარდა აქ სწავლობენ მუსიკას, ცეკვას, ხატვას. საღამოობით ფართო კეთილმოწყობილ სახელოსნოებსა და კაბინეტებში იკრიბებიან სხვადასხვა წრის წევრები. ისინი გულმოდგინედ მუშაობენ რადიოტექნიკურ ლაბორატორიაში, გემთსამოდელო, საზღვიკლო, სადურგლო სახელოსნოებში. აგრ რადიოტექნიკურ ლაბორატორიაში მაგიდაზეა დამოილი რადიომიმღები — ყოველგვარი ხრახნები, კონდენსატორები, კოჭები. მაგიდასთან მსხდომი მოსწავლეები სერდიუკი, შიშკინი, დამაშნი მუშაობაში არიან ჩაფლული. ისინი გულმოდგინედ არჩევენ სხვადასხვა ნაწილს და რეფრემტორული სქემის რადიომიმღები მზადაა, ჯადოსნური ყუთი მათ ხელში ცოცხლდება — ლაპარაკობს, მღერის...

იქვე, გვერდით, გემთსამოდელო სახელოსნოში მუშაობენ კლასის მოსწავლე სუროვი დიდი ხანია მუშაობს წყალქვეშა ნავის მოდელის გაკეთებაზე. რამდენი შრომაა საჭირო, რომ მის თითოეულ ნაწილს სასურველი ფორმა მიეცეს.

აი წყალქვეშა ნავის მოდელი მზადაა. შეხედეთ, როგორ თვალისმომკრებლად ბრწყინავს მისი ცისფერად შეღებილი კორპუსი! ამავე სახელოსნოში დაამზადეს მეთექვსეკლასელებმა კილასონიქემ და ბერაქემ საესკადრო ნაღმონის თვითმავალი მოდელი, რომელიც ამჟამად სასწავლებლის ვესტიბიულს ამშვენებს. მრავალმხრივი და საინტე-

რესოა გეოგრაფიის შემსწავლელთა წრის მუშაობა. გეოგრაფიის კაბინეტში მნახველის თვალს იტაცებს მოსწავლეთა მიერ შედგენილი სქემატი, დიაგრამები, რუკები. განსაკუთრებული მონდობებით არის ხაკეთები კომუნიზმის დიდ მშენებლობათა რელიეფური რუკა. ორი თვის მანძილზე გულმოდგინებით და საქმისადმი უდიდესი სიყვარულით მუშაობდა ამ რუკის გაკეთებაზე ათი მეწვიდეკლასელი ბიჭუნა. შრომას ამოად არ ჩაუვლია. ჩვენ წინაა საქმის ცოდნითა და მაღალი ოსტატობით შესრულებული რუკა, რომელზეც მშენებლობის საკვაძო პუნქტები პაწაწისა ელნათურებითაა განათებული. კაბინეტში ბლომდაა ვინერალური ქვების ძვირფასი კოლექციები, რომლებიც გეოგრაფიის თყყვარულთ შეუკრებით საზაფხულთ პრაქტიკაზე ყოფნის დროს. რამდენი საინტერესო მოხსენება და რეფერატები წაიკითხეს ბეჯითმა ბიჭუნებმა ლიტერატურის, ისტორიის, მათემატიკის წრის სხდომებზე, რამდენი ძვირფასი თვითნაკეთი ხელსაწყო შესძინეს სასწავლო კაბინეტებსა და ლაბორატორიებს!

თავისთვის საინტერესო სამუშაოს პოულობენ აქ ნორჩი მხატვრებიც. სასწავლებლის დერეფანს ამშვენებს მათ მიერ გაფორმებული ფარი, მიღწენილი ადმირალ ნახიმოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი. აქ ხანავთ მერვე კლასის მოსწავლე ხოლოდობოვის მიერ ოსტატურად შესრულებულ ნახიმოვის პორტრეტს, მეცხრეკლასელი სემიონოვის ნახატს „სინთაის ბრძოლა“ და სხვ.

ნორჩი მეზღვაურები გატაცებულნი არიან სპორტით, სპორტულ დარბაზში და მოედანზე ყოველთვის განსაკუთრებული გაძოცოცნლება. ისინი წარმატებით მონაწილეობენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამართულ შეჯიბრებებში. ბევრი მათგანის სახელი უკვე გასცდა სასწავლებლის ფარგლებს. მეათე კლასის მოსწავლე იური ფილიპიევი მოზარდთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონია ცურვაში. მოსწავლე გეტმანმა, რომელიც განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენს კრი-


ვისადმი, ნახიმოვის სასწავლებელთა სპორტაკიდაზე გამარჯვება მოიპოვა და ნახიმოვის სასწავლებელთა ჩემპიონის სახელი დაიმკვიდრა.

ზაფხულობით ნახიმოველები შავი ზღვის სანაპიროებზე გადიან ერთთვიან პრაქტიკას, ვაკაცდებიან ზღვის სტიქიასთან ბრძოლაში, სწავლობენ კომანდის კითხვას, საჭის მართვას, სასიგნალო ნიშნებით ლაპარაკს, ემზადებიან მკაცრი საზღვაო სამსახურისთვის. ნახიმოველებს ბეჯით სწავლასა და შრომასთან ერთად მხიარული დასვენებაც უყვარო. ისინი ხშირად ატარებენ თვითშემოქმედებით საღამოებს. აქ შექმნილია სიმებიანი ორკესტრი, ჩამოყალიბებულია დრამწრე, ცეკვისა და სიმღერის წრე.

ნახიმოველებს მჭიდრო მეგობრული კოლექტივი აქვთ, მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც მტკიცედ შეპყვიცეს ერთმანეთს მუდამ ერთად იმსახურონ, ერთ გემზე, ერთ ფლოტში. რომელში? ცხადია, იქ სადაც სამსახური ყველაზე ძნელი და საპასუხისმგებელია. ასე, სწავლასა და შრომაში ვაკაცდებიან საზღვაო ფლოტის მომავალი ოფიცრები.

გვიან საღამოა, მეზღვემ ეს-ეს არის დაუკრა გასაყარი. ნახიმოველები საწოლ ოთახებში წავიდ-წამოვიდნენ, სასწავლებელში საერთო სიწყნარე ისადგურებს. ხვალ კი კვლავ მერხებთან, წიგნებით ხელში, ნათელი მოძაელის შესახვედრად.

ბ. სარიწელი



მეთექვსელებს მიერ დამზადებული საესკადრო ნაღმოსანის მოდელთან



1.

ჯერ გათენებული არ იყო, რომ ფილიპეს ძაღლის ყეფა და ქათმების კრიახი შემოესმა. ფილიპე უძალ წაბოიჭრა.

— ჰა, ძურია, არ გაუშვა! — გადასძახა ძაღლს აივნიდან.

შეგულიანებული მურია უფრო მწარედ აყეფდა.

— ტურაა, შერცენებული! — წაიბუზღუნა ფილიპემ, კიბე ჩაირბინა. და ვენახისაკენ გაქანდა. აქ წმირტოტებიანი ხე იდგა. ზაფხულობით ქათმები ამ ხეზე იბუღებდნენ.

ხმაურზე ფილიპეს ცოლშვილსაც გაეღვიძა.

პირველად ფილიპეს ცოლი ნატალია წამო-დგა.

— მეელი ხომ არ მოუვარდა ძროხებს! — წაიხურჩულა შიშით.

— რაო?! — წამოიძახა უფროსმა ქალიშვილმა თინამ და წაბოხტა. წამოდგნენ უმცროსებიც — შალვა და ქეთინო.

— რა მოხდა? რა წაიღო? — გამოცვივდნენ ოთახიდან ხმაურით ბავშვები.

ნატალია უკან ეზოში ხეების ქვეშ დაბმული ძროხებისაკენ გაეშურა. ძროხებმა გაკვირვებით შეაღვლეს თვალი აჩქარებით მომავალ ნატალიას და თავები ისე გააქნიეს, თითქოს აბეზარი ბუხები მოიგერიესო. ნატალიას გულზე მოეშვა, ძროხები რომ უენებელი ნახა.

— დედა, ვარია მოუტაცია ტურას! — დაიძახა ამ დროს თინამ, რომელიც ეზოში მიმოფანტულ და შეუფოთებულ ქათმებს შორის „ჯუპი ჯუპის“ ძახილით დაწრიალებდა.

- — რომელი?
- „თეთრას“
- აი თეთრად არ გაუთენდეს მაგ ტურას!
- დაიწყევლა ნატალიამ.

მურია მოუსვენრად დარბოდა ეზოში და გაცხარებით ყეფდა. ჯავრობდა, რომ ტურამ თვალწინ მოსტაცა ქათამი. მიიჭრებოდა ხესთან, სადაც „თეთრას“ ბუმბული ეყარა, მერე ტურას ნაკვალევს გაჰყვებოდა შემალღებულ ადგილაძღდე. აქედან მარჯვენად ან მარცხნივ შეუქცევდა და პატრონთან მოირბენდა. გზა-გზა სუნავდა ბუჩქებს, ხეებს და ყეფდა.

— საწყალი მურია! — შეებრალოთ ბავშვებს.

— ჰე, მოატყუა ეშმაკმა ტურამ გამოუცდელი ლეკვი! — ჩაილაპარაკა ფილიპემ და მურიასაკენ გაიხედა.

— ჰო, რა ეშმაკი ყოფილა ის წუწკი! — გაიოცა ქეთინომ და მუშტი მოიღირა.

როცა მურია ყეფითა და სირბილით გული მოიჯერა, პატრონთან მოვიდა და მოწყვეტით დაეშვა მიწაზე.

შალვა და ქეთინო ახლო მიცუტქდნენ და მიუღალეს.

— დაისვენე, შენს ჯავრს არ შევარჩენთ ტურას. ისე გაგწვრონით, ის წუწკი ვერსად გაგექცევა.

მურია მძიმედ გამოაბრწყინა მოჭუტული თვალები. თითქოს მიხვდა, რასაც ეუბნებოდნენ.

2.

ბავშვები მურიას გაწვრონას შეუდგნენ. ხის ქვეშ ბუმბულით მოფენილ მიწას ტურის ნაკვალევი ეტყობოდა.

— აბა, მურია, კარგად დაყნოსე, — უთხრეს ბავშვებმა ძაღლს და ტურის ნაკვალევზე მიუთითეს.

მურია აწკმუტუნდა, კუდის ქნევით ბავშვებს მიელაქუსა, მერე თავი ძირს დახარა და ნაკვალევს ყნოსვა დაუწყა. ბავშვებმა წაახალისეს, ძაღლიც ტურის კვალს აედეგნა.

შემართლებულ ადგილთან მურია შეყოყმანდა, უნდოდა შემობრუნება, მაგრამ ბავშვებმა ლმობიერად შეუტიეს და კვლავ ნაკვალევს გაუყენეს.

ბავშვებმა გაიარეს ეზო და ტყიან გორაკს აჰყვნენ. ნელი ნიავე ქრალა და საამოდ გრადოდა.

ირგვლოვ მოჩანდა ზღვა ყანები და ციტრუსებით აზურმუხტებულები თირობები. მათ შორის ნაირფერად გაიფრებდნენ ბალ-ვენახები. ლაღად ატყორცნილი ევკალიპტები ნაზად ამრიალობდნენ მოაერცხლოვ თოთლებს.

აი, კოლმეორნეობის მეფრინველებობის ფერმაკ გამოჩნდა.

ბავშვებმა იხივებით და ბატებით სავსე იყო დეღე და ხელოვნურად მოწყობილი ტბა.

აქ თეთრი, თოვლივით მოჩათქათე ქათმებიც იყვნენ, მაგრამ „თეთრაზე“ გაცილებით დიდები. გამოირჩეოდნენ კისერტირალი, ჩამრგვალებული ჩინური ქათმები.

— რას მისიღვთ, ბავშვებო? — მოისმა ფერმის ეზოდან.

ბავშვებმა გაიხედეს და ქათმების მომვლელი ქალი აღათი დანახეს.

— ტურის კვალს, ბიცოლა, — უპასუხა შალვამ.

— კვალი აქეთ მიდის? აბა, თქვენ იცით, როგორ იყოჩაღებთ!

— თქვენც ხომ არ შემოგჩვიათ, ბიცოლა?!

— ორი ქათამი მოგეტაცა ამას წინათ.

ბავშვები ფერმის ეზოში შევიდნენ, მურიაც თან შეჰყვათ.

ბავშვებმა ეზოს შემოუარეს. ზოგ ადგილას ღობე ისე იყო ჩანასკული, რომ სინათლევ ძლივს ატანდა. ფერმის ეზოში წყლის ჩასასვლელი არც ჩაკეტილი იყო ვიწროუჯრედებიანი მავთულის ბადით. „მამ საიდან შემოიპარა ტურა?!“ ფიქრობდნენ ბავშვები.

უცებ მურია ერთ ხესთან შეჩერდა და წკმუტუნით ეცა მის ჩაშავებულ ძირს.

— ჰა, ხერელი! — წამოიყვირა შალვამ და შიგ შეიხედა. ხერელი ხის მეორე მხარეს გადიოდა. — ხე ფუტურო ყოფილა! აღბათ ტურა აქედან შემოძვრა.

ბავშვები ხერელს დააკვირდნენ, მის ნაპირებზე ბალანი შენიშნეს.

— უთუოდ ტურის ბალანია, — დაასვენეს მათ.

ამ დროს ფერმის გამგე გიორგი მოვიდა. — რას შეჯგუფებულხართ, მალხაზებო?


შალვამ ხის ფულტურაში ხერელი დანახა.

— ააა, აღბათ აქედან შემოძვრა ტურა; — თქვა გიორგიმ და ხერელს კარგად დააკვირდა. — აქ ხათანჯი უნდა დავდგა და ნახეთ მაშინ, მალხაზებო, ტურის სეირი! — და გიორგის გავცინა.

3.

ერთ დილას ფილიპეს ეზოში გაისმა ქათმის კრიახი და მურიას ყეფა. მაშინვე წამოვარდა ფილიპე, შალვაც აჰყვა.

მურია დაყნოსა ჰაერი და ყური გაამახვილა. მცირე ხნის შემდეგ ბაღახები და გოგრის ფოთლები შეიჩხა. ძაღლმა კისერი წაიგ-



— ჰა, ხერელი! — წამოიყვირა შალვამ...

ჩიოდა. თორა მის წინ თრმა ნაბერწკალმა თვალის მომპრელად გაიღვრა, ამას ნახტომი მოჰყვა და პატარა ცხოველმა გაიჭროლა. მურია ამ დაიყვდა და გაქცეულ ცხოველს დაედევნა.

— ჰა, მურია, არ გაუშვა! — დასჭყვიღოს ფილიბიმ და შალვამ და ძაღლს გამოუღდგნენ. ბოხი ხმით აყვდა მეზობლის, შალვას თანაკლასელის, არჩილის ძაღლი ჯუშმაც და დობეს გადაეყოლა. მას არჩილი და მამამისი მიჰყვნენ. მირბის ტურა და მიაქეს მოტაცებული ქათამი. ტურას ესმის ძაღლების გაათორებული ყფა და ადამიანთა ყვირილი. შეშინებულმა პირი ჟუშა ნადავლს. მარტო ბურტული შერჩა პირში, ჯვანა მურისას. მაშინ ჯუშამ მოხდენილი გრძელი ნახტომით თავი დათარა. ტურა შემობრუნდა. მურია ფრთაშესხმული აედინა და უკანა ფეხს ცხიერიც მიუწვინა. განწირული ტურა ვაკატრიალდა. შეიკრა არგოლად და შემდეგ სწრაფად შერხევით ჰაერში ასარბოლი თოკივით გაისვრიალა. მურიამ წონასწორობა დაკარა, თავით წინ წავიდა და კისტერმოღრეცით წაიქცა. შალვამ მოიკრიბა ძაღლინე და გაშმაგებით წამოიჭრა. ამ დროს ტურა ბეჭობს ეცა. რომ ეკალბარებში ამქარალიყო. აქ მისი მონახვა ისე ძნელი იქნებოდა, როგორც ჩვიშნარში ნამეციცისა. მაგრამ მურია იმ დროს მისწვდა მას და ჩიკუ მოიქცია, როცა ტურას თავი სამშვიდობოს იკონა. ფილიბემ ტურას კეტი დაჰჭრა თავში.

— რა დილია, უთუთო მამალი ტურა იქნება! — თქვა ფილიბემ.

— ნამოვიღად ასია. — დაომოწმა არჩილის მამამ, როცა მიწაზე გართხმული. სულთმობრძაი ტურა კარგად შეათვალაირა.

როცა ტურას სული დალია, თილიბემ უკანა თრში წააიღო ხელი და მიწაზე გაათრია. გამარჯობული ძაღლიბი მაინც არ ჩომდებოინენ. აგერ მურია ერთი გადატყინილი დიდი ხის ძირკვს მიიარდა და ყფა დაიწყო.

— ნეტავ რას უყეთს? — იკითხა არჩილის მამამ.

— ტურა რომ წავართვით, გაბრაზებული დარდს იქარვებს, — სცილით თქვა ფილიბემ და ძაღლს დაუძახა.

— აქ რაღაც ამბავია! — წამოიძახა შალვამ და ძაღლსავე გაეშურა, მას არჩილი მიჰყვა, მერე ფილიბე და არჩილის მამაც.

მურია არ ეშვებოდა გადატყინილი ხის ძირკვს. რომლის ქვეშ სვრილი ჩანდა. ძაღლი ხანგამომავებით სვრელში შეყოფდა თავს და ყფდა. ახლა მურიას ჯუშმაც მიუშველა, ისიც აყვდა.

— აქ უთუოდ ტურის ბუნავია, — თქვა შალვამ.

— ნამდვილად ბუნავი იქნება. — დაემოწმნენ უფროსები.

ხვრელის ზოდამბრი მოწმინდეს, შესასვლელი გაუგანიერეს და შიგ გრძელტარაინი ორთითა ჩაუშვის. მაგრად დაატრიალეს ორთითა, მაგრამ ჩამიჩომი არ იყო. ძაღლები მოუთმენლად ყეთინენ. მაშინ ხვრილზე წამოსკუბებულ კუნძს დეაფებ შეუჭრეს, მძლავრად შეარყიეს და ამოაგდეს.

ღრმულში ჯერ ვერათერი შენიშნეს, შემდეგ რაღაც მოშავონი შეამჩნიეს, ერთი მათგანი უთრო დიდი იყო. ამ უკანასკნელს ძაგერეს წაწვეტებული ჯოხი. ის უცბად შეიჩხა და საცოდაოდ აჭყილდა. ეს იყო დედალი ტურა, რომელიც შევიღებს რკალივით შემოხვევოდა. მას თავში კეტი დაჰკრეს და სული გაათრთხოზინეს. მერე ღრმულიდან მისი ლეკვები ამოიყვანეს. ხავსით მოფენილი ბუნავი სავსე იყო ფრინველების ძვლებითა და ბურტყლით.


ბავშვებს თან შეეცოდათ ტურა. თანაც უხაროდათ, რომ ასეთი მანენ ნადირი მოამორეს სოფელს.

საიდანღაც მეფრინველეობის ფერმის გამგე გიორგი გამოჩნდა. მკვდარი ტურები რომ დაინახა, გაიღმა.

— დამასწარით, არა? ყოჩაღ! კარგად დასუქებულან ეს ოხრები.

ფილიბემ იმ დღესვე გაატყავა ტურები, ხორცი ძაღლებს აჭამა, ხოლო ტყავები წკებლებზე გაჭიმა და ოდის კედელზე ჩამოკადა გასახმობად.

მეზობლებმა ურჩიეს ტყავები მონადირეთა კავშირისათვის ჩაებარებინა.



მებრძოლებზე

პაბლო ნერუდა

1949 წლის სექტემბერში მშვიდობისათვის ბრძოლის ამერიკის კონტინენტური კონგრესის ტრიბუნაზე ავიდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სიმპათიური სახის კაცო, რომლის გარეგნობა მეტყველებდა მის გამბედაობაზე, საკუთარი თავისა და საქმისადმი ღრმა რწმენაზე. ეს იყო ჩილის ცნობილი დემოკრატი პოეტი პაბლო ნერუდა.

ჩილი თქვენ უთუოდ იცით, ბავშებო, მსოფლიოს რუკიდან და გეოგრაფიის სახელმძღვანელოდან. ეს არის ლათინური ამერიკის ქვეყანა, გრძელად გაწოლილი წყნარი ოკეანის ნაპირზე. მას ოკეანის დასავლეთ სანაპიროს ნახევარზე მეტი უჭირავს ლათინურ ამერიკაში. ეს ქვეყანა, რომლის მოსახლეობა 5 მილიონამდეა, ცნობილია თავისი სპილენძის, რკინის, გვარჯილის უდიდესი მარაგით. მისი დედაქალაქი სანტიაგოა, 610 ათასი მცხოვრებით.

და აი სწორედ ამ ქვეყნიდან, ჩილიდან იყო ჩასული კონგრესზე პაბლო ნერუდა.

— ჩემი ქვეყანა, — თქვა მან ტრიბუნიდან, — როგორც იცით, გაწოლილია ამერიკის განაპირას. მთების ჰაჯგი, ზღვა, გეოგრაფიული მდებარეობა თითქოს თიშავს მას გარე სამყაროსაკენ. ამის მიუხედავად დიდმა სახელმწიფოებმა ყურადღება მიაქციეს ამ მრავალკანჯული ქვეყნის მიწა-წყალს, ორმა დიდმა სახელმწიფომ, ეს იყო ამ წლის ივლისში, ერთსა და იმავე დროს თავიანთსას მიიწვია ორი ჩილილი. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გადაწყვიტა მიეწვია ჩილის არმიის მთავარსარდალს. მე გინერალი არა ვარ, მე, უბრალო, პოეტი ვარ და, მაოხიდააო ამისა, იმავე დროს მიორი დიდმა სახომწიწოთმ მემინია თავისას, რომ ის მენახა. ეს ჭეიჯანა საბჭოთა კავშირი იყო. და თითქმის ერთსა და იმავე საათში, როცა ჩილის გენერალი მიიჩქარდა ეყნოსა ამერიკული ატომური ყუმბარის სონი, მე მივიწერაფლდი უდიდესი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის ობობილზე დასასწრებლად. რამდინიმი ხნის შემდოა გინერალი დაბროუნდა ჩემს სამშობლოში, მე კი ვერ შეიძელი დაბროუნება, რადგან, ვინ იცის, იმ აყიებებს შორის, რაც გინერალმა შეიძინა თავისი მოჯაჟრობის დროს, იქნებ ერია ტყვია, განკუთვნილი ჩემს განსაკემირავად..

რა დაშავა პაბლო ნერუდამ, რომ იგი ასე დევნილი იქნა თავის სამშობლოდან? ვინ არის პაბლო ნერუდა?

ჩემნი ეპოქის ერთ-ერთი შეხანინავე პოეტი პაბლო ნერუდა დაიბადა 1904 წელს, სამხრეთ ჩილის ქალაქ ტემუკოში. მისი ნამდვილი გვარია ნეფტალი რიეისი. ნერუდას მთელი მომწიფებელი პერიოდის შემოქმედება გამსქვეალულია ადამიანის პიროვნების თავისუფლების, მჩავგრელთა წინააღმდეგ ბრძოლის, დემოკრატიის კეთილშობილი იდეებით. ჯერ კიდევ 1938 წელს, რო-



პაბლო ნერუდა

ცა რესპუბლიკური ესპანეთი ებრძოდა რეაქციის ზევ ძალებს, პაბლო ნერუდამ დაწერა წიგნი „ესპანეთიდან გულში“. ამ წიგნში იგი უმღეროდა თავისუფლებისათვის მებრძოლ რესპუბლიკური ესპანეთის გმირებს.

მთელი თავისი პოეტური შთავონებით ემარებოდა პაბლო ნერუდა საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას პიტლერიზმის წინააღმდეგ ჩვენს დიდ სამშულო ომში. მისი ლექსები „სიმღერა სტალინგრადის სიყვარულზე“ და „ახალი სიმღერა სტალინგრადის სიყვარულზე“ იღანენ ჩვენს რიგებში, როგორც თავისუფლებისათვის ქემმარტად მებრძოლი ჯარისკაცები. ამ ლექსებში პაბლო ნერუდა კიხავდა იმ დასავლეთელ „მოკავშირეებს“, რომლებიც არ ჩქარობდნენ სტალინგრადის გმირ დამცველთა დახმარებას პიტლერიზმის წინააღმდეგ.

ომისშემდგომი მისი ლექსები გამსქვეალულია მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების იდეით. პაბლო ნერუდას ლექსები ექომაგებიან მისი სამშობლოს — ჩილის—შშრომელ ხალხს, რომელიც საშინელ ექსპლოატაციას განიცდის ჩილის რეაქციული მთავრობისა და ამერიკელი კაპიტალისტებისგან.

ამას წინათ ჩილიში გაიფიცა 800 ათასი მუშა და მოსამსახურე. ამ ციფრის სიდიდე გასაკები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში სულ ხუთ მილიონამდე მოსახლეობაა. ამ გავიცვის მიზეზი ის ძალადობა და რებრესიებია, რასაც ჩილის მშრომელი ხალხი, მისი დემოკრატიული ძალები განიცდიან ამერიკის შეერთებული შტატებისგან. ჩილის ხალხი უყიდურესად მძიმე მდგომარეობაში ცხოვრობს. სპილენძის მალარობების მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი რამდინიმი ათასით შემცირდა, მაგრამ ამერიკელი კაპიტალისტები მუშების არაადამიანური ექსპლოატაციით მაინც ადწვენ სპილენძის მოპოვების უწინდელ დონეს. ჩუკიკა-



ახალი წლის დღეა

ახალ წელს გული,
ჩემი გული მუდამ მღელვარე
შრომის სიმღერით
და მიღწევით შეგებება,
მაგრამ ცხოვრების და
სიცოცხლის დღე მოელვარე.
ასე ხალხით მე
არასდროს გამთენებია.

თოვლზე ხეების
საოცნებო ჩრდილები გაწვა,
ზამთრის ბუნებაც
სილამაზით ცხოვრებას ამკობს,
დიდ ნაძვს ხესთან
ქარი არხვეს გოგონას ნაწნავს,
თითქოს ეს ქარიც
ახალი წლის სიმღერას ამბობს.

სამშობლო მხარე
ახალ დღეთა მზედ გაჩენილა,
მას ამაგრებენ,
აკაჯებენ მილიონები,
მშრომელთ ოჯახებს
ლხენით ავსებს იანვრის დილა,
ახალ შრომისთვის
მზად არიან ლეგიონები.

იანვრის დილა
ახლა ბალის ნერგებს არ თოშავს,
და მზეს დიდება,
ახალი წლით გვმატებს სიმხნევს,
ხვალ მშენებლები
უფრო მაღლა ასწივენ დროშას,
კალმის ოსტატიც
ააჯღერებს ახალ სიმღერებს.

ილია ხოშვაკია

ბატის სპილენძის მალაროების მუშა წელიწადში 30 ტონა სპილენძს იძლევა და ამის გასამრჯელოდ მალაროების მესაკუთრე ჩრდილოეთ-ამერიკული მსხვილი ტრესტისაგან — „ანაკონდასაგან“ — მხოლოდ 50-60 ამერიკულ ცენტს იღებს. ეს მაშინ, როდესაც მსგავსი მალაროს მუშა ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრად მეტს იღებს. ჩილის მალაროებში ისეთივე პირობებია, როგორც საკონცენტრაციო ბანაკებში. მალაროელები დღეში 16-20 საათს მუშაობენ. ჩრდილოეთ-ამერიკელები კი მოითხოვენ უფრო მეტ სპილენძს, რადგან სპილენძი მათ ომისათვის სჭირდებათ. ამერიკის შეერთებულ შტატებიდან ჩილში პურისა და კარაქის ნაცვლად ზარბაზნები და ტყვია-წამალი იგზავნება.

აი სწორედ ასე დაბეჩავებული თავისი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად გამოვიდა სენატში ჩილის მალაროელების დეპუტატი, პოეტი პაბლო ნერუდა. მან, როგორც დეპუტატმა, გაილაშქრა ამერიკის შეერთებული შტატების ყურმშობრილი მონის პრეზიდენტ გონსალეს ვიდელას მოლაპატრე პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს იყო 1949 წლის 6 იანვარს. ამის შემდეგ ჩილის მთავრობის მიერ იღვენება პოეტი პაბლო ნერუდა. მას ჩამოართვეს დეპუტატის რწმუნება. იგი ემაღებოდა პრეზიდენტ გონსალეს ვიდელას აგენტებს. თავს აფარებდა ხან მწყემსის კარებს, ხან ქალაქების მუშათა კვარტალებს. მადლიერი ხალხი იცავდა თავის პოეტს პოლიციის მეძებრებისაგან. დევნილ პოეტს არ შეუწყვეტია თავისი შემოქმედებითი მუშაობა. მის ერთ-ერთ შესანიშნავ პოემას „დე, გაიღვიძოს ტყის მჭრელობა“ ბოლოში, დაწერის თარაღთან ერთად, ასეთი მინაწერი აქვს: „ხალაღ ამერიკაში“. ეს პოემა, რომელშიც მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემია მიიღო, მიმართულია უოლ-სტრეტის მონათმფლობელთა წინააღმდეგ. ამავე პოემაში პაბლო ნერუდა უმღერის დიად საბჭოთა კავშირს, მშვიდობისა და ხალხთა ბელადს ბრძენ სტალინს.

პაბლო ნერუდა საბოლოოდ ესახლება მექსიკაში და განაგრძობს თავის ნაყოფიერ პოეტურ შემოქმედებას. იგი მშვიდობის საერთაშორისო კონგრესების მონაწილეა, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი.

ჩილის რეაქციული მთავრობის მიერ დევნილ დემოკრატ პოეტს გულის სიღრმედ უყვარს თავისი სამშობლო, თავისი ხალხი.

—ათასჯერ სიკვდილი რომ მეწეროს, ვარჩევდი ჩემს ქვეყანაში სიკვდილს, ათასჯერ დაბადება რომ მეწეროს, ვარჩევდი ჩემს ქვეყანაში დაბადებას, — წერს იგი ერთ-ერთ ლექსში.

პაბლო ნერუდა თავის მგზნებარე პოეტურ ხმას უფრთებს მთელი პროგრესული კაცობრიობის ბრძოლას ომის წინააღმდეგ.

მ. ლევიტაძე

შუქის რეკლამების საიდუმლოება

ერთ საღამოს მამამ სასიყრდნოდ წაგვიყვანა მე და ჩემი უმცროსი ძმა რეზო. რუსთაველის პროსპექტზე გავედით.

— აი, თხა და გიგო! — წამოიძახა უცებ რეზომ და ვიტრინას დაუწყო ცქერა. მამას გაეცინა და სამივენი ვიტრინასთან მივედი. ვიტრინაში მართლაც მინის მილებითა და მათში მოელვარე ფერადი შუქით გამოხატული იყო „დედაენაში“ მოთხრობილი თხა და გიგოს გამოხატულება.

— იცანი?! — უთხრა ნასიამოვნებმა მამამ რეზოს, — აბა, ის თუ იცი, როგორ არის გაკეთებული ეს გამოსახულება.

— სულ უბრალოდ, — უპასუხა რეზომ, — ერთი მილი წითლად არის შეღებილი, მეორე კი ცისფრად.

— ოო, ეს კი არ გცოდნია, — და მამა ახლა მე მომბრუნდა: — აბა, შენ რას იტყვი, გიგო?

ვიცოდი, რეზოს პასუხი არ იყო სწორი. ისიც ვიცოდი, რომ დღისით რეკლამის მიწებს ჩვეულებრივი მინის ფერი აქვთ, დამათ კი სხვადასხვა ფერად ანათებენ. — მილები, რა თქმა უნდა, შეღებილი არ არის... — ენის ბორძიკით დავიწყე მე, — ვფიქრობ, მათში, ისევე, როგორც ელნათურებში, ბეწვის მსგავსი წვრილი მავთულია გაყვანილი, რომელიც ელდენის ჩართვისას ვარვარდება და ანათებს.

— დაეუშვათ, შენ მართალი ხარ და რეკლამის მილები მართლაც ელნათურის მსგავსად არის მოწყობილი, მაშინ ისინიც ხომ ჩვეულებრივ შუქს მოგვცემენ!

ვერაფერი ვუპასუხე.

— თუ გაინტერესებთ, — გვითხრა მამამ, — ხვალ ერთ სახელოსნოში წაგიყვანთ და იქ ნახავთ, თუ როგორ მზადდება შუქის რეკლამები.

დარცხენილმა ძმებმა ვთხოვეთ მამას დილით წავეყვანეთ სახელოსნოში, და სეირნობა გახვარდეთ.

დილის 10 საათი იქნებოდა, როდესაც მამა, რეზო და მე სადგურის მოედანზე გავედით. როგორც მამა წინასაღამოს დაგვ-

ბირდა, ჩვენ უნდა გვენახა, თუ როგორ აკეთებენ შუქის რეკლამებს.

დიდი ლოდინი არ დაგვჭირდა, მალე მეოთხე მარშრუტი ტრამვაი მოვიდა და სამივენი შიგ ჩავსხედით.

ცოტა ხნის შემდეგ ტრამვაი კოლმეურნეობის მოედანთან გაჩერდა, ჩამოვედით და იქვე ხელმარჯვნივ ვიტრინაში დავინახეთ ჩვეულებრივი თეთრი მინის მილისაგან გამოყვანილი ასოები „შუქის რეკლამები“. თაყში გამიელვა: „აღბათ რა ლამაზია ღამით ეს წარწერა!“

სახელოსნოში შესვლისთანავე თვალში მეცა მილები, მინის უმარავი მილი და რალაც ელექტროხელსაწყოები. მამა მეგობრულად შეხვდა ჩვენივეს უცნობ ძიას, რომელსაც მამამ ვახტანგი უწოდა.

— რაზე შეწუხებულან, გიორგი, შენი ვაჟაკები? — მხიარულად მიმართა მამას ძია ვახტანგმა და ყველას საითითოდ ხელი ჩამოგვართვა.

მამამ უთხრა, რისთვისაც ვიყავით მისულა.

— სიამოვნებით! — უპასუხა ვახტანგმა, — რა სიტყვა გინდათ, რომ დაწვეროთ?

— ძია სტალინი! — თითქოს ჩემს გულში იჯდაო, სიხარულით წამოიძახა რეზომ.

— ძალიან კარგი. აბა, ვთხოვთ ჩვენს მხატვარს, რომ ლამაზი ასოებით დაგვიწეროს ეს საყვარელი სიტყვები — და ძია ვახტანგი მიუბრუნდა იქვე დიდ მაგიდასთან მჯდომ ქალს. მხატვარმა ქალმა ქალღღებ ლამაზი ასოებით დაწერა „ძია სტალინი“. შემდეგ ეს ქალღღები გადასცეს მინის გამბერს. მან ცეცხლის ალზე დაიწყო მინის მილის გახურება და წარწერის მიხედვით ასოების გამოყვანა, თან განუწყვეტლივ უბერავდა მილში, რათა, როგორც ძია ვახტანგმა აგვიხსნა, მილი მოღუნვის ადგილებში არ გაბრტყელებულიყო და კვლავ მრგვალი ფორმა შეერჩინოდა.

როდესაც სიტყვა მზად იყო, ის მოათავსეს რალაც დიდ ხელსაწყოზე.

— ეს ჰაერის გამომტუმბავი სტენდია, — აგვიხსნა ძია ვახტანგმა. — მილიდან ჯერ

ჰაერი უნდა გამოვტუმბოთ და სიცარიელს მიღების შემდეგ მასში აირი შევუშვათ.

— რა საჭიროა აირი? — ვეღარ მოვითმინე მე.

— სწორედ აირი გვაძლევს იმ ლამაზ ფერებს, რომლებსაც თქვენ ღამით ვიტრინებში ხედავთ ხოლმე.

— მავთული?! მარტო აირი როგორ განათებს?!

— არავითარი მავთული არ არის საჭირო. თქვენ ხედავთ მილის თავსა და ბოლოში ლითონის სარქველებს, ლითონისავე ფირფიტებით, რომლებსაც ელექტრიდები ეწოდება. სწორედ ამ ელექტრიდებს გარედან ნუვრითებით ელექტროსადენს და დენი ყოველგვარი მავთულის გარეშე გაივლის მილში მოთავსებულ აირს, რაც იწვევს ნათებას. ყველა აირი ერთი ფერით არ ანათებს. აირების შეცვლით ჩვენ შეგვიძლია სხვადასხვა ფერის მიღება. აბა, მატარავ, მითხარი, რა ფერად გაანათოს ამ სიტყვებში? — მიუბრუნდა ძია ვახტანგი რეზოს.

— წითლად! — წამოიძახა რეზომ.

— ამისათვის მილში ნეონი უნდა შევუშვათ. არგონი ლურჯად ანათებს, ჰელიუმში ყვითლად...

იმავე სტენდის სამუშალებით, რომლითაც ჰაერი ამოტუმბვს, ხელსაწყოს ქვეშ მდგარ ბალონიდან მილში ნეონი შეუშვებს.

— ყველაფერი მზად არის, ახლა საჭიროა დენის ჩართვა, — თქვა ძია ვახტანგმა და უცებ შემეკითხა: — შენ იცი, რა არის ტრანსფორმატორი?

— იცი, ფიზიკაში ვისწავლეთ. ტრანსფორმატორის სამუშალებით ჩვენ შეგვიძლია ცვალებადი დენის ძაბვის გადიდება და შემცირება.

— ყოჩაღ, სწორია, — და ძია ვახტანგმა მხარზე ხელი მომითათუნა, მამამ კისრზე გაუღიმა. — ჩვენ ამ შემთხვევაში გვჭირდება ძაბვის გადიდება, — განაგრძო ძია ვახტანგმა.

ჩართეს ტრანსფორმატორი და... უფერულმა მილმა საოცრად ღამაში, წითელი ფერით გაანათა.

მისხაროდა, მე უკვე ვიცოდი შუქის რეკლამების საიდუმლოება. ისინი თავისებურ შემავთულო ელნათურებს წარმოადგენენ. აღარ მიკვირდა, რომ დღის სინათლეზე უფერული მინის მილები, საღამოობით ნაირფერ შუქს აფრქვევენ და ალამაზებენ ქალქის ქუჩებსა და ვიტრინებს.

ის იყო წამოსვლას ვაპირებდით, რომ ძია ვახტანგმა შეგვაჩერა.

— დიდაც, გიორგი, მე მინდა ბავშვებს კიდევ ერთი საინტერესო რამ ვანახო. — და ძია ვახტანგმა თავის კაბინეტში შეგვიყვანა. საწერ მაგიდას უცნაური შუქი ანათებდა, თითქოს მზის შუქი შემოპარულიყო. — აი, როგორც ხედავთ, — განაგრძო ძია ვახტანგმა, — ეს შუქი მკვეთრად განსხვავდება ელნათურის შუქისაგან. ნამდვილი დღის სინათლის შუქია. ეს ნათურაც იმავე პრინციპით მზადდება, როგორც შუქის რეკლამები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ უკვე მინა იღებება ლუმინაფორმით და აირად გამოყენებულია სინდიყის ორთქლი არგონით. ძიას დიდი მადლობა გადავუხადეთ და შინისკენ წამოვდით. შუქის რეკლამები ჩვენთვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენდა.

ლ. მგელაძე, თ. სპანი



თვითმფრინავის

დატოპვა



ბევრი ნორჩი გმირი ჰყავს თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ კორეელ ხალხს. ეს პატარა გმირები ეხმარებიან ბრძოლებში კორეის სახალხო-გამანთავისუფლებელი არმიის ნაწილებსა და პარტიზანებს. ამ გმირთა რიცხვს ეკუთვნის 15 წლის ლი ბენ სამი. იგი ერთ-ერთი არასრული საშუალო სკოლის პიონერული რაზმის თავმჯდომარეა. ლი ბენ სამი მონაწილეობას ღებულობდა მსოფლიოს ახალგაზრდობისა და სტუდენტების ფესტივალში ბერლინში. კორეელმა გმირმა პიონერმა რამდენიმე დღე დაჰყო მოსკოვში. აქ მან პრესის მუშაეებს უამბო თავისი და თავისი ამხანაგების გმირული საბრძოლო ეპიზოდები. ქვემოთ ვებქადავთ ერთ-ერთ ამ ეპიზოდსაგანს.

ჩვენი შახტების ახლოს ამერიკელებს მოწყობილი ჰქონდათ აეროდრომი. აქ არ იყო ბევრი თვითმფრინავი, სულ რამდენიმე იქნებოდა, და რატომღაც ყველა ძველი. ისინი მიფრინავდნენ ღამით და ღამითვე სხდებოდნენ აეროდრომზე. სხვა სოფლებიდან გამოქცეულებმა გვიამბეს, რომ ასეთი თვითმფრინავები უშენებეს, სოფლებს, ხოცავენ ქალებსა და მოსწავლეებს. და, აი, ჩვენ გადავწყვიტეთ როგორმე მოგვესპო ერთი თვითმფრინავი მაინც.

თვითმფრინავები ფრინავდნენ ოთხ-ხუთ საათს, შემდეგ ბენზინი უთავდებოდათ და მფრინავები აეროდრომზე აბრუნებდნენ დასასხლამად. პირველი თვითმფრინავი, ჩვეულებრივ, სალამის 8-9 საათზე აფრინდებოდა, აეროდრომზე კი პირველ-ორ საათზე ბრუნდებოდა ღამით. შემდეგ მეორე თვითმფრინავი აფრინდებოდა და თითქმის განთიადამდე ფრინავდა.

ერთხელ მე და ჩემმა ამხანაგებმა გადავწყვიტეთ მიგვეღწია აეროდრომის შუაგულამდის, სადაც დადგმული იყო დიდი ელექტროფარანი. ფარანი ისე ანათებდა, როგორც პროექტორი, რომ იგი მფრინავს შორიდან დაენახა. ჩვენ როგორმე უნდა ჩავკეპრო ეს ფარანი: ამით თვითმფრინავს აეროდრომზე დაფრენის საშუალება დაეკარგებოდა.

დრომზე დაფრენის საშუალება დაეკარგებოდა.

შევუღეპით მზადებას. ხევთან წინასწარ ამოვთხარეთ ორმო, ელექტროფარანის მავთულის გადასაპრელად მოვიმარაგეთ დანები. შევარჩიეთ ბნელი ღამე, ერთხელ კიდევ შევამოწმეთ, თუ სად იდგნენ გუშაგები და დაიწყეთ მოქმედება. ელექტროფარანს 150 მეტრით მივუახლოვდით უკანიდან. ჩვენ ყველაფერს ვხედავდით, მაგრამ ჩვენ ვერავინ ვერ გვხედავდა. აი ვიღაც მიუახლოვდა ფარანს, რაღაც შეატრიალა და წავიდა. მე დავხედე საათს, რომელიც მაშისგან მქონდა დატოვებული—მეორე იწყებოდა. ჩემმა ამხანაგმა კიმა ჩაიჩურჩულა: „თვითმფრინავი გუგუნებს“. მე მივეცი პირობითი სიგნალი. მყისვე მიცვივდით ფარანთან, გადავჭერთ მავთული და ფარანი წავატრიეთ. აეროდრომზე სამარისებური წყვილი დადგა. ერთმანეთსაც ვერ ვხედავდით. თვითმფრინავი კი ჩვენს ზემოთ გუგუნებდა. ელექტროფარანი მეტად მძიმე იყო. გავვოფლიანდით, ვფორხილობდით. ვხედავდით, რომ აეროდრომზე დარბოდნენ აღამიანები ხელში პატარა ფარანებით. თვითმფრინავი შეუმხუნას შუშხუნაზე უშვებდა, ალბათ მოითხოვდა აენთოთ დიდი ელექტროფარანი.

როფარანი, მაგრამ ფარანი ჩვენ გვექონდა.
როგორც იქნა, მიაღწიეთ ხევამდე, ფარანი
ორმოში ჩავაგდეთ, დავუმსხვრიეთ ელექტ-
რონათურა და მიწა დავაყარეთ. შინისკენ
მოვკურცხლეთ. იმ ღამეს არც ერთს არ დაგ-
ვიძინია. ვუსმენდით, როგორ გუგუნებდა
თვითმფრინავი. იგი აეროდრომის თავზე
ტრიალებდა, დაფრენა არ შეეძლო. შემდეგ
გუგუნე მიწყდა, თვითმფრინავი სადღაც
გაფრინდა.

ღილით მეზობელი სოფლიდან მოსულმა
კაცმა გვითხრა:

— წუხელ ამერიკელთა თვითმფრინავი
ფრინავდა და ფრინავდა. შემდეგ შეიჭრა
კლდეებში და დაიწვა, მფრინავიც დაიწვა.

სალამოს მე და ჩემი ამხანაგები შევიკრა-
ბეთ ტყეში შეპირებულ ადგილას და ყველა-
ფერი პარტიზანებს ვუამბეთ. მათ გაუხარ-
დათ და გადაგვკოცნეს.



ლი ბენ სამი

იტალიის პიონერები

უსიხარულო ბავშვობა აქვთ იტალიელ
მშრომელთა შვილებს. მაგალითად, ქალაქ
კასინოს ახლო მდებარე სოფლების მშრომე-
ლი მოსახლეობა იმდენად ღარიბია, რომ
მშრომელებს საშუალება არა აქვთ კვებონ
თავისი ბავშვები. შიმშილით სიკვდილი ემუქ-
რება ბავშვებს, ამიტომ უბედური დედები
იძულებული ხდებიან მდიდრებს მისცენ
შვილები ხელზე მოსამსახურედ.

ანგარიშინი საქმოსნები 10-15 ბავშვს და-
აქირავენ და დაჰყავთ ისინი იტალიის
სოფლებსა და ქალაქებში. ასეულ კილო-
მეტრს გადაიან ბავშვები ფეხით, დახეტიალო-
ბენ ქუჩებში და გამკლავლებს ხელში აჩეჩე-
ბენ ლატარის ბილეთებს. თითოეული მათ-
განი ვალდებულია გამოიმუშაოს ათასი ლირა
(ლირა ფულის ერთეულია). ამ ფულს ყოვე-
ლი მათგანი, რასაკვირველია, თავის ბატონ
დამჭირაკებელს აძლევს. თუ ბავშვმა რამე
დაამაგა, მას მკაცრად სცემენ და უსადი-
ლოდ სტოვენ. მძიმე, ქანცის გამწყვეტი
ღღის დასრულების შემდგომ ბავშვებს
არა აქვთ საშუალება დაისვენონ. ისინი
იშვიათად იძინებენ კარვებში, უფრო ხში-
რად ღამეს მიშველ მიწაზე, ღია ცის ქვეშ
ატარებენ.

ასე ცხოვრობენ არა მარტო კასინოს რაი-
ონის ბავშვები. მთელ იტალიაში მშრომელთა
შვილიანობით ბავშვები მეტად მძიმე საბა-
რებს ასრულებენ ფაბრიკებსა და საბადოებ-

ში, შახტებსა და მინდვრად. ორ მილიონ
იტალიელ ბავშვს საშუალება არა აქვს ისწა-
ლოს. ისინი იზრდებიან წერა-კითხვის უცო-
დინარებდა.

იტალიის მთავრობა ახალი მსოფლიო ომის
სამზადისშია გართული და არ ზრუნავს ბა-
შვების ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

პიონერები მშვიდობისათვის ბრძოლაში

არც ისე დიდი ხნის წინათ იტალიის პი-
ონერთა ასოციაცია რამდენიმე ასეულ ბავშვს
აერთიანებდა. ახლა იგი აერთიანებს 3000
პიონერულ რაზმს, რომლებშიც 200 ათასამ-
დე ბავშვია.

იტალიის პიონერებს მსურვალედ უყვართ
მშვიდობა და სძულთ ომი. ისინი ეხმარებიან
უფროსებს მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობ-
რობისათვის ბრძოლაში. პიონერები ქალა-
ქებსა და სოფლებში აგროვებენ ხელმოწერას
საერთაშორისო მშვიდობის საბჭოს მოწოდე-
ბაზე, რომ სამშვიდობო ხელშეკრულება და-
იდოს სხუთ დიდ სახელმწიფოს შორის. მარ-
ტო ერთ ქალაქში, ფლორენციაში, მათ 17
ათასი ხელმოწერა მოაგროვეს.

იტალიელი პიონერები ეხმარებიან მუშებს
თავისი უფლებებისათვის, ცხოვრების გაუ-
მჯობესებისათვის ბრძოლაში. ქალაქ რეჯიო-
ემილიაში გაფიცულმა მუშებმა დაიკავეს ქარ-

ხანა „რეჯიანე“. ქარხნის ალაყაფის კარების ახლო 3 ათასამდე პიონერი შეიკრიბა. მათ სურდათ ქარხნის ეზოში შესულიყვნენ და მისალმებოდნენ მუშებს, მაგრამ ისინი პოლიციელებმა არ გაუშვეს. ამის შემდეგ ნორჩმა გმირებმა ქარხნის ალაყაფის კართან მოაწყეს კონცერტი. ისინი კითხულობდნენ ლექსებს, მღეროდნენ და ცეკვავდნენ.

ისტეები, როგორც არიან საბჭოთა პიონერები. მათ ძლიერ აინტერესებთ საბჭოთა ბავშვების ცხოვრება, რადგან იციან, რომ საბჭოთა პიონერები მათთვის საუკეთესო მაგალითის მიმცემნი არიან.

ჯიანი როლარი

იტალიის პიონერთა ასოციაციის სამდივნოს წევრი, ყოველკვირულ ჟურნალ „პიონერის“ დირექტორი.

**საბჭოთა კავშირთან
მეგობრობისათვის**

გასული წლის ზაფხულში იტალიის პიონერებმა მოაწყეს „საბჭოთა პიონერებთან მეგობრობის კვირეული“. ჩატარდა მრავალი საღამო, სპექტაკლი, სპორტული შეჯიბრება, კონფერენცია და გამოფენები თემზე „საბჭოთა კავშირის პიონერების ცხოვრება და მუშაობა“.

ბავშვებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს იტალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურში, რომელიც გასული წლის 7 ნოემბრიდან 7 დეკემბრამდე ტარდებოდა.


იტალიელი პიონერები ისწრაფვიან იყონ



იტალიელი პიონერები აგროვებენ ხელმოწერას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის სამშვიდობო პაქტის დადებისათვის მოწოდებაზე.

ბ. გურგენიძე

ბ. გურგენიძე




ა. ბანიცი

ღამაზი რამოლოვმა

მოგკვავს ჭაბუკი მოჭადრაკის ბ. გურგენიძის პარტიის ღამაზი დაბოლოვება უკრაინის 1951 წლის ჩემპიონ ა. ბანიციან, რომელიც გათამაშებული იყო თბილისში 1951 წელს ოსტატთა სავარჯიშო ტურნირზე. იხილეთ დიაგრამა:

ასეთი მდგომარეობა შეიქმნა თეთრების 17. e5 შეცდომითი სვლის შემდეგ. გურგენიძე ენერგიულად იწყებს შეტევას მეფის ფლანგზე. 17. ... g4! 18. Be1 d5 19. ლ: c5 კ: e5 20. მ: d5 (გადამწყვეტი შეცდომა. ახლა თეთრები ვარდებიან ძალიან მძიმე მდგომარეობაში) 20. ... ლფ5! (არ შეიძლებოდა 20. ... ed 21. ლ: d5+ და ლ: e5 გამო) 21. d4 (ერთად ერთი კარგი სვლა, თუ 21. Be7-მფ7 და თეთრები აგებენ მხედარს. თუ 21. მც3 კ: h2+ შემდეგ შავები იგებენ ღამაზიერს) 21. ... კხ8! 22. მც3 (ახლა შავები კომბინაციის საშუალებით იგებენ პარტიას. თუ თეთრები ითამაშებდნენ 22. მე3, მაშინ კხ5 შავები იგებდნენ ვტლს კუში) 22. ... ჩწ1! 23. ლხ4 კ: h2+ 24. მფ: h2 ლh4+ 25. მფg1 ჩწწ 26. f4 გ3 და გამოუვალი შამათის გამო ბანიცმა დაჰყარა იარაღი.

თ. მიორბაძე



აქ სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგური აშენდება

სტალინგრადის ჩრდილოეთით, სადაც ვოლგა და მისი ტოტი ახტუბა ერთ დიდ კუნძულს ქმნიან, მდინარის მარჯვენა ნაპირზე მარმარილოს ობელისკი ღვას მტრის ტანკებთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული სამი საბჭოთა მეომრის სამარზე, სწორედ აქედან ვოლგის მარცხენა ნაპირამდე მიმდინარე წელს ვიებერთელა კაშხალის აგება დაიწყება, წინათ გამოუყენებელ კუნძულზე კი 15 საართულიანი სახლის სიმაღლისა და 700 მეტრი სიგრძის გრანდიოზული შენობის აგებას შეუდგებიან. ეს იქნება სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგური — სტალინტური ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობა.

ამ წმიდათა წმიდა მიწაზე აგებულ ელსადგურს ბადალი არ ეყოლება კაპიტალისტურ ქვეყნებში. სტალინგრადის გიგანტი წელიწადში საშუალოდ ათ მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას მოგვცემს.

ელსადგურის 40 მეტრის სიმაღლე კაშხალი ვოლგას გზას შეუკრავს და მის დონეს 25 მეტრით ასწევს. აქ წარმოქმნილი წყალსაცავი ხელოვნურ ზღვათა შორის უდიდესი იქნება, იგი სარატოვამდე მიაღწევს.

სტალინგრადის „ზღვიდან“ აღმოსავლეთით მდინარე ურალამდე თვითდენადი არხის ლურჯი ზოლი გადასერავს კასპიისპირეთის უდაბნოს. 600 კილომეტრის სიგრძისა, იგი მსოფლიოში მხოლოდ თურქმენეთის მთავარ არხს თუ ჩამოუვარდება სიდიდით. ვოლგა-

ურალის არხის შემწეობით კასპიისპირეთის 6 მილიონი ჰექტარი მიწა გაცოცხლდება, უდაბნო ბაღნარად იქცევა, ქვიშას ჯეჯილი შეცვლის...

თვითდენადი არხისა და ჰიდროკვანძის მშენებლობაზე რაც მიწა ამოიყრება, იმისგან რომ 2,5 მეტრი სიმაღლისა და 1 მეტრი სიგანის ყრილი გვაკეთოთ, დედამიწას ეკვატორზე ორჯერ შემოუვლის. ასეთი გრანდიოზული სამუშაოების წარმოება მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს შეუძლია.

ახლა ტეშებში. სტალინგრადის ელსადგურის მშენებლობა 1950 წელს დაიწყო და 1956 წელს დამთავრდება. კაპიტალისტურ სამყაროში ყველაზე დიდი ელსადგური ბოულდერ-დემი კი (ამერიკის შეერთებულ შტატებშია, მდინარე კოლორადოზე), რომელიც სტალინგრადის ჰიდროელსადგურს სიმძლავრით ბევრად ჩამოუვარდება, ორმოცი წლის განმავლობაში შენდებოდა; მეორე დიდ ელსადგურს გრენდ-ჟულს უკვე ოცდაათი წელია აშენებენ და მის დამთავრებას ბოლო მაინც არ უჩანს...

* * *

დღით და ღამით, დარში თუ ავდარში ვოლგაზე შრომის გუგუნია... ხმაურობენ ექსკავატორები, სკრეპერები, ბულდოზერები... განუწყვეტლივ მიმოდინებენ გემები, სტევენს ორთქლმავლები; ამათ ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოჰყავთ სხვადასხვა სპეცი-

აღობის ადამიანები, ჩამოაქვთ მექანიზმები, ხელსაწყო-იარაღები, სამშენებლო მასალა... მიმდინარე წლიდან, როცა კაშხალისა და ელსადგურის შენობის აგება დაიწყება, მუშაობის მოცულობა ხუთ-ექვსჯერ გაიზარდება, დღეში 34 ათას ტონამდე მხოლოდ სამშენებლო მასალა დაიხარჯება. სამუშაოთა ასეთ ფრონტს კი მომზადება უნდა. ამიტომ აქ მუშაობა ერთი წამითაც კი არ წყდება.

ვოლგის ორივე ნაპირზე ახალი ქალაქები შენდება, აქ მშენებლები იცხოვრებენ. გაკყავთ გზატკეცილები, რკინიგზები, აგებენ ქარხნებს, სახელოსნოებს, საწყობებს. ახლად აშენებულ რკინიგზის სადგურ სპარტანოვკაში განუწყვეტლად უამრავი ტვირთი მოედის.

ჩამოსული ტვირთის სამრეწველო მოედანზე გადასაზიდად, სხვებთან ერთად, სახელგანთქმული ტრაქტორისტი ა. ბოიჩენკოც მუშაობს. ბოიჩენკომ გასულ წელს სამგორის სტახანოველი ტრაქტორისტი ა. მაძღარაშვილი გამოიწვია სოცშეჯიბრებაში. შეჯიბრება მეგობრებს ახალ-ახალი შრომითი გამარჯვებების მიღწევაში ეხმარება...

ერთ დღეს, როცა ბოიჩენკომ თავისი სამუშაო დრო დაასრულა და შინ წასასვლელად ემზადებოდა, სადგურს საბარგო მატარებელი მოადგა, მან მშენებლებს მანქანა-იარაღები ჩამოუტანა. უეცრად ერთ-ერთ დიდ ყუთზე ბოიჩენკომ შეამჩნია წარწერა:

„თბილისის კიროვის სახელობის დაზავთ-მშენებელი ქარხანა“.

— ჩემი მეგობრის, მაძღარაშვილის სამშობლო საქართველო აქტიურ მონაწილეობას იღებს კომუნისმის დიად მშენებლობაში, — თქვა სტახანოველმა ტრაქტორისტმა და ვალდებულება აიღო მატარებლის დაკლამდე ვმუშავა. ამ დღეს ბოიჩენკომ ახალ წარმატებას მიიღწია — 260 პროცენტით შეასრულა დღიური ნორმა.

თბილისურ დაზავებს გარდა სტალინგრადის ჰიდროელსადგურის მშენებლები საქართველოში დამზადებულ ზუსტ ხელსაწყოებსა და საბურღავ იარაღებსაც ხმარობენ, რომელთა მეშვეობით აქ რთული სამუშაოები სრულდება.

დიად მშენებლობაში თავიანთი წვლილი ქართველ მეცნიერებსაც შეაქვთ. მათ მიერ გადაწყვეტი-

ლი მრავალი საკითხი მშენებლებს მუშაობაში დიდ დახმარებას უწევს.

სტალინგრადის ელსადგური დენს მრავალ ასეულ კილომეტრზე გადასცემს. მაღალი ძაბვის ხაზისათვის კი გამძლე ბოძებია საჭირო. ეს ბოძები რკინისაგან ან ხისაგან მზადდება და რამდენიმე წლის შემდეგ ფუჭდება: რკინა იუანგება, ხე კი ლპება. თბილისელმა მეცნიერმა მუშაობაში ახალი ტიპის რკინა-ბეტონის ბოძები გამოიგონეს. მისი ხმარების ვადა უსაზღვროა და თანაც დამზადება გაცილებით იაფი ჯდება.

მშენებლებმა ამასწინათ საქართველოს მშრომელებისაგან ძვირფასი საჩუქარი მიიღეს — ეს იმ სახლის მკაფეთია, სადაც საყვარელი ბელადი დიდი სტალინი დაიბადა.


— ეს საჩუქარი, — თქვა სტალინგრად-ჰიდრომშენის მოწინავე კალატოზმა ს. წიქორიძემ, — ჩვენ კიდევ უფრო უკეთესი წარმატებებისაკენ მოგვეწოდება. დე, ყველამ იცოდეს, რომ საბჭოთა ხალხი დიდი სტალინის წინამძღოლობით მშვიდობისა და კომუნისმისათვის იბრძვის.

ამ ბრძოლის შესანიშნავ მაგალითს ვოლგაზე კომუნისმის დიადი მშენებლობა წარმოადგენს. ჰროგორც მშენებლობის უფროსმა ამხანაგმა ფ. ლოგინოვმა გვითხრა, სტალინგრად-ჰიდრომშენის მშენებლების თითქმას ნახევარი 1,5-4 დღიურ ნორმას ასრულებს.


ირ. 'გოსირიძე



მამა და შვილები — პროროკოვები ექსკავატორზე.




თავსატახტი



დაყავით ეს ფიგურა ოთხ ნაწილად და ამ ნაწილებისგან შეადგინეთ კვადრატი.

ჟურნალ "პიონერის" 1951 წლის ნომერში მოთავსებულ გახართოზზე



ნახაზზე ნაჩვენებია, როგორ უნდა დალაგდეს ციფრები წრეებში. თითოეული სამკუთხედის კუთხეებში მოთავსებული 3 ციფრის ჯამი უდრის 1952-ს—ახალი წლის გამოხატველ ციფრს.


შინაარსი

ა. ბილანიშვილი — ლენინი მეცნიერების დიდებულების შესახებ	33:	თვითმფრინავის დაღუპვა	33:
ვ. გორგანელი — მეკვლე	1	იტალიის პიონერები	27
რ. ქორქია — ელოდნენ, — მოვიდა!	4	ი. გოცირიძე — აქ სტალინგრადის აშენდება	28
ი. გრიშაშვილი — ნინო ნაკვიძის	5	გასართობი	30
ქ. კასრაძე — საბედისწერო ნამცხვარი	8	შ. ფორჩხიძე — ახალი წლის დილა — გარე-	31
მ. ლებანიძე — ჩანდრა	9	კანის მე-2 გვ.	
ბ. საჩინელი — საზღვაო ფლოტის მომავალი ოფიცრები	11	ჩვენი კალენდარი	გარეკანის მე-3 გვ.
ვ. ნაჭყებია — მიაგნეს...	18	გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა „საახალ-წლო სიმღერა“, შესრულებულია მხატვარ შ. ცხადაძის მიერ. გარეკანის მე-2 გვერდის მხატვრობა — „ნორჩი მეთხილამურეები“ — მხატვრების გ. ფირცხელავას და ი. ბერძენიშვილის მიერ.	
მ. დემეტრაძე — პაბლო ნერუდა	20		
ი. ხოშტარია — ახალი წლის დილა	23		
ლ. მგელაძე, თ. სვანი — შუქის რეკლამების საიდუმლოება	24		
	25		

რედაქტორი ბ. კახაიანი. სარედაქციო კლუბის: ი. აბლაძე, ლ. ბგრიტიშვილი, ვ. ვარდნიშვილი, ბ. თაფაძე, მარიკანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შინგელია. პასუხისმგებელი მდივანი მ. თორღლა. სამხატვრო რედაქტორი ბ. ფოცხიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

შე 00643 ტირაჟი 15.200 გამომცემლობის შეკვ. № 57 სტამბის შეკვ. № 136
დ. კ. ბერძენის სახელობის პოლიგრაფიკული ქარხანის რედაქტორი, ლენინის ქ. № 14
ქარხანის მფლობელი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკის“ ოფსეტ-მანქანაზე.



ჩვენი კალენდარი



გალილეო გალილეი

მსოფლიოს უდიდეს მეცნიერთა შორის თვალსაჩინო ადგილი უპირავს გენიალურ იტალიელ ფიზიკოსსა და ასტრონომს გალილეო გალილემს, რომლის გარდაცვალების 310 წელი მიმდინარე წლის იანვარში სრულდება. გალილეიმ პირველმა გამოიყენა ტელესკოპის ცხს მნათობებზე დაკვირვებისათვის. ასეთი დაკვირვებით მან აღმოაჩინა, რომ ვარსკვლავები უდიდესი მანძილითაა დაშორებული დედამიწას, რომ მთავარ მთებითა და კრატერებითაა დაფარული, რომ იუპიტერს თანამგზავრები ჰყავს, რომ პლანეტები მოძრაობენ მზის გარშემო. ცის მნათობებზე თავისი დაკვირვებისა და ახალი აღმოჩენების შესახებ გალილეიმ დაწერა წიგნი „ვარსკვლავის ელჩი“.

გალილეი მეცნიერული მექანიკის ფუძემდებელია. მან აღმოაჩინა ფიზიკურ სხეულთა ვარდნისა და მოძრაობის კანონები. თავისი გენიალური აღმოჩენებით გალილეო გალილეიმ დაამტკიცა და დაიცვა სიმართლე დიდი პოპულარული მეცნიერის ნიკოლოზ კოპერნიკის (1473-1543) ჰელიოცენტრული სისტემისა, რომელიც ამბობს, რომ არა დედამიწა, არამედ მზე იყოფება პლანეტების სისტემის ცენტრში, რომ დედამიწა თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს და სხვა პლანეტებთან ერთად მზის გარშემო მოძრაობს.

ეს თავდაყირა აყენებდა ეკლესიის მსახურთა სკოლასტკურ მტკიცებას, თითქოს დედამიწა უყოფილყო სამყაროს ცენტრი. ამიტომ განსაკუთრებით, ასე ხასტიად რატომ იღვწებოდა დიდი მეცნიერი ეკლესიის მსახურთა მიერ.

გალილეი პატარობიდანვე გატაცებული იყო დაკვირვებით. მას სინამდვილის პირველ წყაროდ ცდა და დაკვირვება მიაჩნდა.

გალილეი დაიბადა 1564 წელს, იტალიის პატარა ქალაქ პიზაში. 16 წლისა შევიდა უნივერსიტეტში, ხოლო 25 წლისა უკვე უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრაზე ავიდა.

70 წლის მოხუცი, გამოჩენილი მეცნიერი გალილეო გალილეი ინკვიზიტორებმა დააპატიმრეს და აიძულეს მუხლზე დაოქებოდა უარეუო თავისი რწმენა. თქმულება ამბობს, რომ წამოიღვა რა ფეხზე, გალილეიმ წარმოთქვა: „დედამიწა მინც ბრუნავს!“ გალილეი გარდაიცვალა 1642 წელს, ვადსახლებაში, ფლორენციის ახლოს, არჩეტრში.

ბ. ჭუჩიშვილი

თქვენ ბევრჯერ საკუთარი თვალით გინახავთ გ. ჭუჩიშვილი, საკუთარი ყურით მოგისმენიათ მისი ომბახანი ხმა, როცა იგი თქვენს წინაშე მთელი პათოსით კითხულობდა თავის ლექსებს. გ. ჭუჩიშვილი 1947 წლის იანვარში გარდაიცვალა. ცოცხლობენ მისი ლექსები. ისინი შთაგვაგონებენ ჩვენ სწავლისა და შრომის წყურვილს, გვიწერგავენ ბრძოლის პათოსს, ხალხის საქმისათვის თავდადების გრძობას. თქვენი სახელმძღვანელო წიგნების მუდმივი დამაშვენებელია გ. ჭუჩიშვილის ლექსები, ხოლო მისი ბიოგრაფია? — ეს ხომ დაუვიწყარი, ამაღლვებელი ისტორიაა ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი საშინელებით განიცადა წარსული ცხოვრების სიღუბლიერ და უღმობილოება.

დააკვირდით, ბავშვებო, თვით ფსევდონიმს — ჭუჩიშვილი! — დიას ის ჭუჩის შვილი იყო, — ცხოვრების უღმობილოება, მგალურ-მა კანონებმა, რაც მეფის ხელი-მსუფლებლის დროს ბატონობდა, პოეტს ადრე ბავშვობიდანვე აწვნიდა ბედის უკუღმართობა — ადრევე დაუკუტა სკოლის კარები და მშვიტის, ტიტველს მამით ობოლ უწყო ბიჭუნას, უჩვენა მხოლოდ ერთი გზა: — აბა, ჭუჩა, ეძმე და

უმიგობრე მასო. ხელზე მოსამსახურე, შეგირდი, შემდეგ გახეთების დამტარებელი, ქუჩაში წანწალი ლუკმა-პურის საშოვნელად, — აი გ. ჭუჩიშვილის უსიხარულო სიყმაწვილე და ახალგაზრდობა.


დაიბადა ჩვენი სახელოვანი პოეტი 1886 წელს თელავის მაზრის ვარდისუბნის თემის სოფელ მერეში, ანდუყაფარ ჩხეიძისა და სალომე ბაქრაძის უღარიბეს ოჯახში. მამის სიკვდილის შემდეგ პოეტის დედა სალომე დიდ გაკირვებაში ზრდიდა შვილებს — იყო ძიად პოლკოვნიკის ოჯახში და წამებით ნაშოვნი ლუკმა პურით ასაზრდოვებდა ბავშვებს. მრავალი წლის ნაწამებმა და ღუხჭური ცხოვრებისაგან ჯანაგატეხილმა მოხუცმა დედამ შემდეგ თავი დაიხრჩო მტკვარში.

მიუხედავად აუწერელი ტანჯვა-გაპირვებისა, გ. ჭუჩიშვილის ერთხელაც არ შეუშვია ხელი სწავლისათვის, სკოლის გარედ დარჩენილი ყმაწვილი გატაცებით კითხულობდა წიგნებს და, ნიჭთან ერთად, ასე თვითგანვითარებით, ბევრითი შრომით შესძლო სახელოვანი პოეტი გამხდარიყო. იგი მოელო 40 წლის მანძილზე ნაყოფიერად იღვწოდა პოეზიაში. პოეტი მეფის საწინააღმდეგო მუშაობისათვის მჯდარა ციხეშიც. ბევრი მისი ლექსი მოუწოდებდა პროლეტარიატს ბრძოლისათვის.



საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უფრო გაიფურჩქნა გ. ჭუჩიშვილის პოეტური შემოქმედება. სიკვდილამდე მისი მრავალი წიგნი გამოიცა, ხოლო სიკვდილის შემდეგაც მადლიერ მკითხველებს საბლიტგამამა მიწოდა პოეტის ლექსთა კრებული „მოგესალმებით, ბავშვებო!“

გ. ჭუჩიშვილის ლექსები ჩვენი ბედნიერი ნორჩი თაობის კომუნისტური აღზრდის სამსახურში დგას.



1/175 13/27

საქართველოს
საბავშვო
საზოგადოებრივი
სამსახური

პეი 2 მპ.

